

საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა



I კვარტალი, 2006

წინასიტყვაობა

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციას ქვეყანაში ფასების სტაბილურობის მიღწევა და მისი შენარჩუნება წარმოადგენს, რაც ინფლაციის საერთო ღონის დაბალი და პროგნოზირებადი ტემპის უზრუნველყოფას გულისხმობს. ამ მიზნით, განსაკუთრებული როლი ენიჭება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურ აგენტებს ეძლეოდეთ ზუსტი, ლოკუმენტი და გასაგები ინფორმაცია როგორც იმ მოსაზრებებზე, რომლებითაც გადაწყვეტილებების მიღებისას საქართველოს ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს, ასევე მისი პერსპექტიული მიმართულების შესახებაც. აქედან გამომდინარე, უფრო თანმიმდევრული გახდება მოსახლეობის ეკონომიკური ქცევა და ხელი შეეწყობა მართებული ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალიბებას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მსოფლიოს მრავალი ცენტრალური ბანკი გამოსცემს ინფლაციის მიმოხილვას. როგორც წესი, მასში აისახება მონეტარული ხელისუფლების შეხედელებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე იმ პროცესებზე, რომელთაც გაველენა აქვს ფასების დინამიკაზე. ასეთი ანგარიში ფართო საზოგადოებისათვის გასაგები ენით განმარტავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლებს. აქვე აღსანიშნავია, რომ იმ ცენტრალური ბანკებისათვის, რომლებიც ინფლაციის თარგმთირების რეჟიმს ახორციელებენ (ასეთი ბანკების რაოდენობა უკვე 20-ს აღემატება და მათი რიცხვი მუდმივად იზრდება), ინფლაციის მიმოხილვა საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითადი ლოკუმენტიცაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად ჩათვალა, განაახლოს ინფლაციური მიმოხილვის გამოცემა, რაც გათვალისწინებულია 2006-2009 წლების საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიითაც. განსხვავებით 2003 წელს დაწყებული გამოცემისაგან, ამიერიდან ინფლაციის მიმოხილვა გახდება ყოველკვარტალური, რომელშიც მოვლენები ხარისხობრივად და თვისებრივად უფრო ღებალურად გაანალიზდება. აგრეთვე მიმოხილვა ითარგმნება ინგლისურ ენაზე, რაც მიზანშეწონილია საქართველოს მიმართ საერთაშორისო წრეებში მზარდი ინტერესის ფონზე.

რაგომ არის მნიშვნელოვანი ფასების საერთო ღონის სტაბილურობა?

ფასების სტაბილურობა აუცილებელი პირობაა რესურსების ეფექტიანად განსათავსებლად. კერძოდ, როდესაც ფირმის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა (ფასი) იზრდება, ფირმამ უნდა განსაზღვროს, ეს მის მიერ გამოშვებულ პროდუქტზე მოთხოვნის რეალურ ზრდას ასახავს, თუ იგი მოთხოვნის შოკის შედეგად წარმოქმნილი ფასების საერთო ღონის აწვეის შედეგია. პირველ შემთხვევაში, რაციონალური რეაგირება შეიძლება გამოშვების ზრდა იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში – მხოლოდ ფასების ზრდა. ეს ნიშნავს, რომ სამომხმარებლო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს მნიშვნელოვანია ფასების ფარდობითი და საერთო ღონის ცვლილებების ერთმანეთისაგან გარჩევა, რაც მაღალი, მერყევი ინფლაციის/ლეფლაციის შემთხვევაში მნიშვნელოვნად რთულდება. ფასების სტაბილურობა ბაზარს ეხმარება რესურსების იქით მიმართვაში, სადაც ისინი ყველაზე უფრო ეფექტიანად იქნება გამოყენებული. შედეგად, ფასების სტაბილურობა ზრდის შინამეურნეობათა კეთილდღეობის ღონეს და ამალღებს ეკონომიკის პოტენციალს.

არაპროგნოზირებადი ინფლაცია ამცირებს გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, თუ ინფლაცია თანაბრად მოსალოდნელია რომ იყოს 0-10 პროცენტის ფარგლებში, გამსესხებელი, თავის დაზღვევის მიზნით, გაითვალისწინებდა ინფლაციური რისკის პრემიას 10 პროცენტის ოდენობით, ხოლო მსესხებელი იმავე მოსაზრებით ინფლაციური რისკის პრემიად 0 პროცენტს მიიჩნევდა, რის შედეგადაც ვერ მოხდებოდა ფინანსური რესურსების ინვესტირება. ასეთ პირობებში ინვესტორები მაღალმომგებიანი, შეღებებით სწრაფი უკუგების მქონე პროექტებით იფარგლებიან და სახსრებს აბანდებენ ისეთ აქტივებში, რომლებიც ინფლაციისაგან იზოლირებულია (მაგ., უძრავი ქონება). პროგნოზირებადი ინფლაცია ზრდის ინვესტირების სტიმულს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური კეთილდღეობის ღონის ამალღებას. ამავე დროს, რაც უფრო მაღალია ინფლაცია, მით უფრო მერყევია იგი.

ინფლაცია მოქმედებს, როგორც გადასახადი ნაღდი ფულის ფლობაზე. იგი ამცირებს მოთხოვნას ნაღდი ფულზე და შესაბამისად, იწვევს უფრო მაღალ გრანსაქციულ დანახარჯებს, რაც ლეფლაციის შემთხვევაშიც ასევე არგუმენტია. ამდენად, მაღალი ინფლაციის დროს, მისი პროგნოზირებალობის შემთხვევაშიც კი, დანახარჯები მაინც სახეზეა.

ფასების სტაბილურობის ნდობისუნარიანი შენარჩუნება ამცირებს იმის ალბათობას, რომ რესურსები, მათი პროდუქტიული გამოყენების ნაცვლად, ინფლაციისაგან დასაზღვევად მიემართება. მაგ., მაღალი ინფლაციური გარემოში ჩნდება საქონლის დამარაგების სტიმული, რამდენადაც ამ დროს საქონელი უფრო ინარჩუნებს თავის ღირებულებას, ვიდრე ფული ან გარკვეული ფინანსური აქტივი. საქონლის დამარაგება კი ეფექტიანი საინვესტიციო გადაწყვეტილება არ არის და, ამდენად, ეკონომიკის ზრდას ამუხრუჭებს. იგივე შეიძლება ითქვას ლეფლაციურ გარემოშიც – როდესაც ფირმები და შინამეურნეობები ფასების საერთო ღონის შემცირებას მოელიან და, შესაბამისად, საინვესტიციო და სამომხმარებლო ხარჯების გადავადებას ცდილობენ.

ფასების სტაბილურობის შენარჩუნება გამორიცხავს სიმდიდრისა და შემოსავლის მნიშვნელოვან და შემთხვევით გადახანაწილებას, რასაც ადგილი აქვს, როგორც ინფლაციურ, ასევე ლეფლაციურ გარემოში, როდესაც ფასების დინამიკა არაპროგნოზირებადია (მაგ., გადახანაწილებელი ეფექტი კრედიტორებსა და დებიტორებს შორის). როგორც წესი, ინფლაციისაგან ყველაზე მეტად საზოგადოების დაუცველი ფენები ბარალდება, რადგან მათ თავის დასაზღვევად შემზღული შესაძლებლობები გააჩნიათ. შესაბამისად, ფასების საერთო ღონის თვალსაზრისით სტაბილური გარემო ხელს უწყობს სოციალური ერთიანობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

ფასების საერთო ღონის სტაბილურობა ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობის მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ ლეისათვის ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს საკითხი – საკმარისი არის თუ არა ფასების სტაბილურობა ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად – იგი მის მისაღწევად აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა. დაბალი ინფლაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ფინანსური არასტაბილურობის მიზეზი, როდესაც მაღალ ინფლაციას მოსდევს და ფასების ზრდის ტემპის შემცირება არაპროგნოზირებადია. ასეთ პირობებში ფაქტობრივი რეალური საპროცენტო განაკვეთები იზრდება, რაც ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესების მიზეზი ხდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც ფინანსური არასტაბილურობის რეალური მიზეზი არის არა დაბალი ინფლაცია, არამედ სწორედ წინა პერიოდში დაფიქსირებული მაღალი ინფლაცია და შემდგომი პერიოდისათვის მაღალი ინფლაციის მოლოდინი.

აღნიშნული არგუმენტები არ გულისხმობს იმას, რომ ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის სამიმნე ინფლაციის ნულოვანი მაჩვენებელი უნდა იყოს. ამ მხრივ, არაერთი არგუმენტი სახელდება. მაგ., ინფლაციის გაანგარიშებისას არსებული უზუსტობანი, ფასებისა და ხელფასებისათვის შემცირების მიმართულებით დამახასიათებელი სიხისტე, უარყოფითი საბაზრო ნომინალური საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრის შეუძლებლობა და სხვ.

საბოლოო ჯამში, ალან გრინსპენის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ყველა პრაქტიკული დაღნიშნულებისათვის ფასების სტაბილურობა ნიშნავს, რომ ფასების საშუალო დონის მოსალოდნელი ცვლილება არამატერიალურია ბიზნესისა და შინამეურნეობათა გადაწყვეტილებებისათვის.

საქართველოს განვითარების დონის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღალია, რაც ხშირად ბალასა-სამუელსონის ეფექტით¹ აიხსნება. აგრეთვე, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია ფასების „შესწორების“ ეფექტის გამო შედარებით მაღალი და მერყევი ინფლაცია, რასაც ადგილი აქვს არასაბაზრო ფასწარმოქმნის საბაზროთი ჩანაცვლების დროს.

დღეისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფასების საერთო დონის სტაბილურობა წლის ბოლოს 5-6-პროცენტთან ინფლაციის მაჩვენებლით განისაზღვრება.

¹ ბალასა-სამუელსონის ჰიპოთეზა ნიშნავს, რომ პროდუქტიულობა ან პროდუქტიულობის მრღა ქვეყნებს შორის უფრო მეტად განსხვავდება სავაჭრო სექტორში. ამავე თეორიის მიხედვით, სამომხმარებლო ფასები სისტემურად უფრო მაღალია მაღალშემოსავლიან სახელმწიფოებში, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში.

შინაარსი

1 შესავალი	7
2 ინფლაციის დინამიკა	10
ჩანართი – შაქრის ფასის აწევის მიზეზები საქართველოსა და მსოფლიო ბაზარზე	11
ჩანართი – ინფლაციის გამოშვების შესახებ	12
საბაზო ინფლაცია	13
სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (მფი)	13
მშპ-ის დეფლატორი	14
ჩანართი – ინფლაციის მაჩვენებელი და მისი აღქმა	15
3 ინფლაციის ფაქტორები	16
3.1 მონეტარული აგრეგატები	16
ფართო ფული	16
3.2 საპროცენტო განაკვეთების, სადეპოზიტო ვალდებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა	17
ჩანართი – სემონური ფაქტორების გავლენა საპროცენტო განაკვეთებზე	19
3.3 სავალუტო კურსი, დოლარიზაცია და საგადასახდლო ბალანსი	20
სავალუტო ბაზარი	20
საგადასახდლო ბალანსი	21
3.4 წარმოების დანახარჯები	23
ნავთობის ფასები	23

	გაღასახალები	24
	შრომის პროლექტიულობა, ხელფასი	26
3.5	გამოშვება და მოთხოვნა	28
	გამოშვება	28
	შინამეურნეობების მოხმარება	31
	სახელმწიფო მოხმარება	31
	ინვესტიციები	32
4	პროგნოზი უახლოესი მომავლისათვის	33
	ეკონომიკური ზრდა	33
	ინფლაციის პროგნოზი	34
	ჩანართი – ინფლაციის საპროგნოზო მოდელი	35

წინა პერიოდის შედეგებით მაღალი წლიური ინფლაციის შემდგომ, 2006 წლის I კვარტალში ინფლაციის დინამიკა საქართველოში შედეგებით სტაბილური იყო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ შედეგებით მაღალი ინფლაციის დროებითი ბუნება მართებულად იყო შეფასებული. 2006 წლის დასაწყისიდან ფასები 1.5 პროცენტით გაიზარდა და მარტის ბოლოს წლიურმა ინფლაციამ 4.6 პროცენტი შეადგინა. საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით შემცირდა, რაც ფასების საერთო დონის ზრდის ტემპის კლებამზე მიუთითებდა. იმავდროულად, მიმდინარე პერიოდში გაიზარდა მწარმოებელთა ფასების ინდექსი, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, მსოფლიო ბაზარზე ლითონის, შაქრისა და ენერგომთაგარელების ფასების ზრდა უნდა ყოფილიყო.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გრძელდებოდა ბოლო პერიოდში არსებული საბანკო სექტორის დეპოზიტებისა (წლიური 45.7 პროცენტი) და სესხების (წლიური 86.7 პროცენტი) მაღალი ზრდა. საბანკო სექტორი ფულის მულტიპლიკაციის გზით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შიდა მოთხოვნის ფორმირებაში. 2006 წლის მარტში, თვის საშუალო მონაცემების მიხედვით, სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ 27.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო M2 და M3, შესაბამისად, 34.4 პროცენტით და 34.0 პროცენტით გაიზარდა. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა მარტში ჭარბი ლიკვიდობის განეიტრალების მიმართულებით წარიმართა.

ლარის ნომინალური გაცვლის კურსი აშშ დოლარის მიმართ 2006 წლის I კვარტალში შედეგებით სტაბილური იყო, თუმცა შეინიშნებოდა გაუფასურების სუსტი ტენდენცია, რაც ძირითადად სემონური ფაქტორებით იყო გამოწვეული.

2006 წლის I კვარტალში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 4.1 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური კურსი 3.4 პროცენტით გაუფასურდა. თუმცა, როგორც ნომინალური, ისე რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მცირედ გამყარდა 2005 წლის I კვარტალის მაჩვენებლებთან შედარებით – შესაბამისად, 2.7 და 2 პროცენტით.

მიმდინარე ანგარიშში კვლავ გაუარესდა, რაშიც შიდა მოთხოვნის ზრდასთან ერთად ენერგომთაგარელების მნიშვნელოვანმა გაძვირებამ ასევე ანგარიშგასაწევი როლი შეასრულა. მოსალოდნელია, რომ მოკლევადიან

პერიოდში, რუსეთის ემბარგოს გამო გაუარესებული სავაჭრო გარემოს პირობებში, მოხდეს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემდგომი გაღრმავება. ფინანსური ანგარიშიდან მოსალოდნელი მზარდი სავალუტო შემოსავლების ფონზე, მიმდინარე ანგარიშის გაუარესებამ არ არის აუცილებელი, რომ ვალუტის გაცვლით კურსზე დაწვევის მიმართულებით მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს.

სახელმწიფო ბიუჯეტი სამომხმარებლო ფასების ინდექსზე კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ერთი მხრივ, იზრდებოდა ქვეყნის ბიუჯეტი, რაც სოციალური გადამანაწილებელი მექანიზმის მეშვეობით სამომხმარებლო ხარჯების ზრდას უწყობდა ხელს, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციები ძირითადი კაპიტალის ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყარო იყო. მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების არითმიული დინამიკა ფულის მასის მერყეობაზე ანგარიშგასაწევ გავლენას ახდენდა.

2005 წელს აღინიშნა ნომინალური ხელფასის საკმაოდ მკვეთრი ზრდა (წლიური 27.4 პროცენტი), რაც შრომის პროდუქტიულობის 16.2-პროცენტიანი მაგების ფონზე, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვან ინფლაციურ რისკს შეიცავს. თუმცა, სახელმწიფო არასაბაზრო სექტორის გამორიცხვით, ნომინალური ხელფასების შრომის პროდუქტიულობაზე უფრო მაღალი ზრდის ტემპი მისაღებ ფარგლებშია. თავის მხრივ, უმუშევრობის არსებული მაღალი დონე ხელფასს, როგორც ინფლაციის ფაქტორს, კიდევ უფრო ამცირებდა.

2005 წლის IV კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა ზრდამ 8.9 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად კვარტალური მერყეობისა, მთლიანობაში ეკონომიკური აქტივობა წლის მანძილზე საკმაოდ მაღალი იყო. 2005 წელს შინამეურნეობების მოხმარება რეალური გამოხატულებით, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, თუმცა, სტატისტიკური ცლომილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან ზრდას უნდა ჰქონოდა ადგილი. ამავდროულად პერიოდში სახელმწიფო მოხმარება მკვეთრად გაიზარდა. ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები, სამშენებლო სექტორის გარდა, როგორც ჩანს, კვლავ მოკრძალებული იყო. საშუალოვადიანი პერიოდის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწრაფად მოხდება რუსეთის, როგორც ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ჩანაცვლება სხვა ქვეყნებით. მთლიანობაში, მოსალოდნელია, რომ ბოლო პერიოდის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი მომავალშიც შენარჩუნდება.

2006 წლის ბოლოს სამომხმარებლო ფასების ინდექსის საპროგნოზო ზრდა 5.5-7 პროცენტის ფარგლებშია,

რაც გაზრდილი ეგზოგენური შოკების ფონზე მისაღები მახვენებელია. ინფლაციაზე მოქმედი რისკები როგორც ფასების აწევის, ასევე შემცირების მიმართულებით არის განაწილებული, თუმცა უფრო მეტად აწევისკენ არის გადახრილი. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე იქნება დამოკიდებული. ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე კი უფრო მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალში უფრო გაამკაცრებს პოლიტიკას, ვიდრე შეარბილებს ან უცვლელს დატოვებს.

ინფლაციის დინამიკა


2006 წლის პირველ კვარტალში ინფლაციის დინამიკა საქართველოში შედარებით სტაბილური იყო. ფასების ინდექსზე ძირითადი გავლენა სურსათის მთელი რიგი სახეობების ფასების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართული მოძრაობით განისაზღვრებოდა. საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით შემცირდა, რაც სწორედ ფასების საერთო ღონის შრდის გემპის კლებაზე მიუთითებდა.

ცხრილი 2.1
წლიური ინფლაციის მაჩვენებელი¹


	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.
იანვარი	4.7	5.5	5.2	9.3	5.2
თებერვალი	5.3	3.7	6.2	9.2	5.1
მარტი	5.7	3.4	6.3	9.7	4.6
აპრილი	6.5	2.1	5.6	10.3	
მაისი	7.6	2.3	5.4	8.9	
ივნისი	5.5	4.8	3.6	9	
ივლისი	5.1	5	5.5	6.0	
აგვისტო	4.7	5.1	5	7.2	
სექტემბერი	5.7	5.2	6	7.7	
ოქტომბერი	5.4	4.7	7.7	7.8	
ნოემბერი	5.1	8.6	4.1	7.9	
დეკემბერი	5.4	7	7.5	6.2	

¹ ინფორმაციის წყარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი.

ბრაზიკი 2.1
წლიური ინფლაციის მაჩვენებელი



ბრაზიკი 2.2
საბაზო ინფლაციის სხვადასხვა მაჩვენებელი²
(წინა წლის დეკემბერი=1)



² „5.5%-იანი წლიური ინფლაცია“ ასახავს დეკემბრიდან დეკემბრამდე სამომხმარებლო ფასების ამ გემპით შრდის ამ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში ყოველთვის უარი ინფლაცია სემონურიზის გარეშე ერთნაირი – 0.45 პროცენტის გლი იქნება.

2006 წლის I კვარტალის განმავლობაში, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების შრდამ 1.5 პროცენტი შეადგინა. სემონური ფაქტორების გათვალისწინებით, აღნიშნული მაჩვენებელი 0.7 პროცენტის შესაბამისია, ანუ წლიური 2.8 პროცენტი. მარტის ბოლოს ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 4.6 პროცენტს, ხოლო საშუალო წლიური ინფლაცია 7.1 პროცენტს შეადგენდა.

მიმდინარე წლის 3 თვეში სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა ძირითადად სურსათის მთელი რიგი სახეობების ფასების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართული მოძრაობით განისაზღვრებოდა. ამ შხრივ, გადამწვევტ როლს სემონური ფაქტორები, მსოფლიო ბაზარზე შაქრის გაძვირება და „ფრინგელის გრიპის“ დაავადების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამო ქათმის ხორცისა და კვერცხის გაიაფება და ამ უკანასკნელთა სხვა, ჩამნაცვლებელი პროდუქტების (საქონლის ხორცი და ა. შ.) ფასების აწვევა თამაშობდა.


ცხრილი 2.2

ინფლაციის (სწი) განმარტებაში ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტში), მათი წონა საფარგულში კალათაში (პროცენტში) და ზედაპლანა სწი-ზე (პროცენტული პუნქტი)

კატეგორიათა ჩამონათვალი	წონა	04.2005-03.2006/04.2004-03.2005		03.2006/03.2005		03.2006/12.2005	
		ინფლაცია	შეგავლენა	ინფლაცია	შეგავლენა	ინფლაცია	შეგავლენა
სულ	100.0	7.1	7.1	4.6	4.6	1.5	1.5
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	42.6	7.1	3.0	4.3	1.9	2.2	1.0
სურსათი	41.2	6.9	2.9	4.2	1.8	2.3	0.9
პური და პურპროდუქტები	11.4	1.0	0.1	0.8	0.1	0.2	0.0
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.4	16.3	1.0	13.7	0.9	5.5	0.4
თევზი	0.9	19.7	0.2	10.7	0.1	4.2	0.0
რძე, ყველი და კვერცხი	5.6	7.4	0.4	9.8	0.5	-15.1	-1.0
ზეთი და ცხიმი	3.5	1.1	0.0	0.9	0.0	0.9	0.0
ხაღი, ყურძენი	2.4	25.9	0.8	8.2	0.3	3.8	0.1
ბოსტნეული, ბაღყეული, კარტოფლისა და სხვა ბოღმეოვანების ჩათვლით	7.8	0.7	0.1	-8.2	-0.8	13.4	1.0
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაშლები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	3.1	9.1	0.3	23.6	0.7	10.3	0.3
კეფის სხვა პროდუქტები	0.2	5.9	0.0	4.0	0.0	0.8	0.0
უალკოჰოლო სასმელები	1.4	10.4	0.1	7.1	0.1	0.7	0.0
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6.2	30.8	2.2	13.4	1.1	2.3	0.2
განსაცემი და ფესვსაგნო საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეობა	5.0	2.9	0.1	5.4	0.2	1.4	0.1
8.8	5.7	0.5	6.9	0.6	0.6	0.1	
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.2	2.7	0.1	0.6	0.0	-0.7	0.0
ვანძირების დაფიქსირება	7.3	1.5	0.1	-0.4	0.0	2.0	0.1
გრანპორტი	11.4	7.8	0.9	6.4	0.7	0.0	0.0
კავშირგაბმულობა	4.3	-3.4	-0.1	-6.5	-0.3	-0.3	0.0
დასვენება, გათიბა და კულტურა	3.1	2.3	0.1	1.7	0.0	0.6	0.0
განათლება	3.0	1.1	0.0	-0.9	0.0	-1.2	0.0
სასტუმრობა, კაფეები და რესტორნები	2.9	6.8	0.2	8.2	0.2	2.1	0.1
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	2.3	0.6	0.0	0.6	0.0	0.0	0.0
ხინძიკე მისმარების საქონელი	65.5	9.3	6.1	5.1	3.5	1.8	1.2
სამუშაო ხანგრძლივობის მისმარების საქონელი	6.1	2.6	0.2	2.8	0.2	0.4	0.0
ხანგრძლივი მისმარების საქონელი	2.3	1.0	0.0	-5.3	-0.1	-3.0	-0.1
მომსახურება	26.1	3.2	0.8	4.0	1.0	0.9	0.2

გრაფიკი 2.3

საშუალო წლიური სწი ინფლაცია თანაბრად და ნაბიჯობა პროდუქტების ჩათვლით და მათ ბარაჟში




წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გათვლები.

შაქრის ფასის აწევის მიზეზები საქართველოში და მსოფლიო ბაზარზე

საქართველოში ბოლო პერიოდში დაფიქსირებული შაქრის ფასის მკვეთრი აწევა ამ პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე გაძვირების შედეგი იყო (იხ. ლონდონის სასაქონლო ბირჟასა და საქართველოში შაქრის ფასის დინამიკის ამსახველი გრაფიკი). მიუხედავად იმისა, რომ შაქრის საერთაშორისო ფასების მკვეთრი აწევის მიზეზად საეკონომიკური ფაქტორიც სახელდება, უუნდამენგური მიზეზებიც სახეობა. კერძოდ, მარაგების არასაკმარისი ღირებულება აშშ-სა და აზიის ქვეყნებში, ნავთობის საერთაშორისო ფასის ზრდის გამო ეთანოლზე (ეთილის სპირტის ბაზარზე დამზადებული საწვავი, რომლის მისაღებად შაქრის ლერწამს იყენებენ) გაზრდილი მოთხოვნა, ევროკავშირის მიერ შაქრის სუბსიდირების შემცირება და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან შაქრის ექსპორტის მოცულობა მნიშვნელოვანია, ეს ძირითადად რეექსპორტზე მოდის. ქვეყანა შაქრის წმინდა იმპორტორია. ამ პროდუქტის იმპორტის მეტი წილი არა რეექსპორტის, არამედ სწორედ შიდა მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. თუმცა, ასეც რომ არ იყოს და საქართველო შაქრის წმინდა ექსპორტორ ქვეყანას წარმოადგენდეს, ფასების დინამიკაზე მოქმედი სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში (მაგ., საექსპორტო ბაჟის შემოღება), მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქტის ფასის ცვლილება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც შესაბამისად აისახებოდა. წინა წლების დინამიკა კი ცხადად, რომ მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე შესაბამის პროცესებს, საქართველო, თუმცა გარკვეული დროითი ჩამორჩენით, მაგრამ მაინც მიჰყვება. ამდენად, ცალსახაა, რომ შაქრის ბოლო პერიოდში დაფიქსირებული გაძვირება ეგზოგენური, არამონეგარული ფაქტორებით არის გამოწვეული.

გრაფიკი 1
შაქრის ფასი ლონდონის სასაქონლო ბირჟასა და საკავშირელოში (2004 წლის იანვარი=1)



ინფლაციის გამოშვების შესახებ

ინფლაციის გამოშვების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ფართოდ გამოიყენებული ინდიკატორია სამომხმარებლო ფასების ინდექსი. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) არის მაჩვენებელი, რომელითაც იზომება ფასების წმინდა ცვლილება საქონლისა და მომსახურების ფიქსირებულ კალათაზე, რომელსაც სტანდარტული სიხშირით და მოცულობით, მოხმარების მიზნით, შეიძენენ რეზიდენტი შინამეურნეობები.

ძირითადი კონცეფციები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემას (1993). სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებაში გამოიყენება „მიზნების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების საერთაშორისო კლასიფიკაცია“ (COICOP - Classification of Individual Consumption According to Purpose).

გეოგრაფიულად სფი მოიცავს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ხუთ უდიდეს ქალაქს. წონები განსაზღვრულია, როგორც თითოეული მათგანის მოსახლეობის ხვედრითი წილი ამ ქალაქების ჯამურ მოსახლეობაში.

ქალაქი	წონა
თბილისი	0.6039
ქუთაისი	0.1808
ბათუმი	0.0929
გორი	0.0830
თელავი	0.0394

სამომხმარებლო ხარჯების წონების გაანგარიშების საფუძველია შინამეურნეობების ბიუჯეტის კვლევის შედეგები, რომელსაც ახორციელებს სტატისტიკის დეპარტამენტი სამი ათასზე მეტ შინამეურნეობაზე ყველა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში. ამჟამინდელი სფი-ის წონებს საფუძვლად უდევს 2002-2003 წლების შინამეურნეობების კვლევის შედეგად მიღებული სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა.

სფი მოიცავს 311 სასაქონლო პოზიციას, რომელიც COICOP-ის მიხედვით გაერთიანებულია 12 მსხვილ სასაქონლო ჯგუფში:

კოდი	ჯგუფი	წონა
00	სულ	1.0000
01	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.4263
02	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.0621
03	განსაცემელი და ფუნქციონალი	0.0497
04	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	0.0875
05	ავტო, საოჯახო ნივთები და აქსესუარები, სახლის მოვლა-შეკეთება	0.0319
06	ჯანმრთელობის ღირებულება	0.0730
07	ტრანსპორტი	0.1135
08	კაპიტალური მშენებლობა	0.0433
09	დასვენება, გართობა და კულტურა	0.0308
10	განათლება	0.0296
11	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.0291
12	სხვა საქონელი და მომსახურება	0.0231

იმავე კლასიფიკაციის შესაბამისად, დაჯგუფება განხორციელებულია აგრეთვე საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით:

კოდი	ჯგუფი	წონა
ND	ხანმოკლე მოხმარების საქონელი	0.6554
SD	ნახევრად-ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	0.0612
D	ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	0.0226
S	მომსახურება	0.2608

ფასები 311 დასახელების საქონელზე (მომსახურებაზე) აღირიცხება ზემოთ დასახელებულ ქალაქებში შერჩეულ სავაჭრო წერტილებში, სპეციალურად გამოყოფილი რეგისტრატორების მიერ, ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვამდე. მონაცემთა უმეტესობის შეგროვება ხდება მაღაზიებსა და მომსახურების პუნქტებში, აგრეთვე ბაზრებში, სადაც ფიქსირდება შეთანხმების შედეგად მიღებული გასაყიდი ფასი.

საწყის ეტაპზე გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ფასები ყოველი სასაქონლო პოზიციის მიხედვით, თითოეული ქალაქისათვის; მიღებული საშუალო ფასების საფუძველზე გამოიანგარიშება ფასების ინდივიდუალური ინდექსები (საანგარიშო თვის ფასის შეფარდება წინა თვის ფასთან). ფასების ინდექსი ეროვნულ დონეზე წარმოადგენს ინდივიდუალური ინდექსების საშუალო შეწონილ ინდექსს ქალაქების მოსახლეობისა და პროდუქტების ხარჯების წონების მიხედვით.

ვინაიდან ინფლაცია მონეტარული მოვლენაა და წარმოადგენს ფასების საერთო დონის ზრდას, იგი თავისუფალი უნდა იყოს გარეშე (არამონეტარული) ფაქტორების გეგავლენისაგან. ამდენად, ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის გასაგარებლად სამომხმარებლო ფასების ინდექსთან ერთად აუცილებელია ინფლაციის ისეთი ინდექსის გამოთვლა, რომელიც, შეძლებისდაგვარად, მუსკად განსაზღვრავს ფასების საერთო დონის ზრდას, აჩვენებს ინფლაციის გრძელვადიან ტრენდს, შესაძლებელს ხდის მის მოდელირებას და პროგნოზირებას. ასეთი მაჩვენებელია საბაზო ინფლაციის ინდექსი. იგი ასახავს ქვეყანაში რეალური მოთხოვნა-მიწოდებით განპირობებული ფასების ცვლილების დინამიკას, რაც დროებითი ფაქტორებით გამოწვეული რყევებით ნაკლებად არის დამახინჯებული.


საბაზო ინფლაციის გასაზომად საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს სამომხმარებლო კალათიდან, როგორც კონკრეტული პროდუქტების

მულტიგალ გამორიცხვის შედეგად მიღებულ საბაზო ინფლაციის ინდექსებს (მაგ., თამბაქოსა და ნავთობპროდუქტების გარეშე), ასევე განსახილველ პერიოდში ფასების ყველაზე მკვეთრი ცვლილებების მქონე პროდუქტების გამორიცხვით მიღებულ ინდექსებს (მაგ., 10-პროცენტგანი სიმეტრიული შეკვეცილი – საბაზო ინფლაცია, რომელიც გამორიცხავს სამომხმარებლო კალათის 311 პროდუქტიდან იმ სახეობებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად გაძვირდა და გაიფარა).

საბაზო ინფლაციის დინამიკის ცოდნა ასევე სასარგებლოა მოსახლეობისა და მეწარმეებისათვის მართებული ინფლაციური მოლოდინის ჩამოსაყალიბებლად: მაგ., თუ ცუდი მოსაგლის გამო ღრუბით გაიზარდა ფასი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ეს არ ნიშნავს, რომ ფასების საერთო ღირსის ზრდას აქვს ადგილი. შედეგად, არასასურსათო პროდუქტის ან მომსახურების მიწოდების მიერ საცალო ფასების არასწორი მაგება გაყიდვებზე უარყოფით შედეგს იქონიებს, რასაც წარმოების შემცირება შეიძლება მოჰყვეს.

ბრაზილი 2.4

წლიური სწი და საბაზო ინფლაცია




ცხრილი 2.3

ფასების ზრდა სხვადასხვა ინდექსის მიხედვით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (პროცენტი)

	2005 წ. I კვ.	2005 წ. II კვ.	2005 წ. III კვ.	2005 წ. IV კვ.	2006 წ. I კვ.
სწი	9.4	9.4	7.0	7.3	5.0
სწი თამბაქოსა და ნავთობპროდუქტების გარეშე 10%-იანი სიმეტრიული „შეკვეცილი“ საბაზო ინფლაცია სამომხმარებლო კალათის 311 პროდუქტის მიხედვით	3.0	3.3	3.2	3.8	3.2
მფი	9.0	6.9	6.2	6.8	6.0
მშპ-ის დეფლაციონი	13.0	4.7	5.8	8.0	

ბრაზილი 2.5

სწი-ისა და მწი-ის ინდექსების დინამიკა (2005-2006 წწ.)



საბაზო ინფლაცია


საანგარიშო პერიოდში მცირედ შემცირდა საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი (წინამდებარე ლოკუმენტში საბაზო ინფლაციაში იგულისხმება 10-პროცენტგანი სიმეტრიული „შეკვეცილი“ ინფლაცია, რომელიც განგარიშებულია სამომხმარებლო კალათის 311 პროდუქტის მიხედვით) და 2006 წლის I კვარტალში 3.2 პროცენტით განისაზღვრა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ წინა კვარტალთან შედარებით წლიური სწი ინფლაციის შემცირება არა ცალკეული კომპონენტების, არამედ სწორედ ფასების საერთო ღირსის ზრდის ტემპის კლების შედეგად წარმოადგენდა. ბოლო პერიოდში, საბაზო ინფლაციის დასახელებული მაჩვენებელი, შედარებით მაღალი სწი ინფლაციის მიუხედავად, მთლიანობაში, 3-პროცენტგან ნიშნულთან საკმაოდ ახლოს იყო, რაც ფასების საერთო ღირსის სტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (მფი)

2005 წლის I კვარტალში დაფიქსირდა მწარმოებელთა ფასების ინდექსის საკმაოდ მაღალი ზრდა. კერძოდ, ეს მაჩვენებელი 2005 წლის დეკემბრის მონაცემთან შედარებით 6.3 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც გასული წლის I კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით 6.0-პროცენტგანი ზრდა აღინიშნებოდა. ზრდის მიმართულებით ძირითადი წვლილი შეიტანა სამთომომპოვებელ მრეწველობაში ფასების აწევამ (წლიური 47.6 პროცენტი, კვარტალური 42.4 პროცენტი, აქედან ლითონების მადნის მოპოვება, შესაბამისად – 81.5 პროცენტი და 72.4 პროცენტი). აგრეთვე 9.4 პროცენტით გაძვირდა საკვები პროდუქტების წარმოება, 13.4 პროცენტით – რემინისა და პლასტმასის

ბრაზიკი 2-6

მწარმოებელთა ფასების ინდექსის დინამიკა (2005-2006 წწ.)



ცხრილი 2.4


სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

	2006 წ. მარტი		
	წინა წელითაშუალო	2005 წ. დეკემბერთან შედარებით	2005 წ. მარტთან შედარებით
მრეწველობა, სულ	100.5	106.3	106.1
სამთომომპოვებელი მრეწველობა	97.3	142.4	147.6
გადამამუშავებელი მრეწველობა	101.4	103.6	102.8
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	100.1	100.3	100.3

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გათვლები.

ბრაზიკი 2.7

სფი-ისა და მშპ-ის დეფლატორი (2001 წ., IV კვარტალი = 100)



ცხრილი 2.5

მშპ-ის დეფლატორი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ცალკეული კონომიკური სექტორების სახეობების მიხედვით საბაზისო ფასებით (პროცენტით) და მათი უმნიშვნელო მშპ-ის დეფლატორზე საბაზისო ფასებით (პროცენტული პუნქტი)

	2004 წ.		2005 წ.		2005 წ. IV კვ.	
	დეფლატორი	შეგავსება	დეფლატორი	შეგავსება	დეფლატორი	შეგავსება
სოფლის მეურნეობა, ნაღობი და საცხენო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	5.8	1.1	-4.8	-0.8	-2	-0.3
პროდუქციის გადამამუშავება	9	0.4	-8.8	-0.4	-7.4	-0.3
კაემირგაბმულობა და ფოსფატის სახელმწიფო მმართველობა, თევზჭერა	6.2	0.2	-4.5	-0.2	-9.2	-0.3
ეკონომიკური საქმიანობის სხვა სხეობები	70	2.5	39.3	2.3	49.6	3.8
სფი საბაზისო ფასებით	1.9	1.2	3.9	2.4	3.5	2.1
მშპ საბაზისო ფასებით	5.8	5.5	4	3.4	5.8	5
წმინდა გადასახადები	42.5	2.9	50.9	4.5	34.1	3
პროდუქციის მშპ საბაზისო ფასებით	8.3	8.3	7.8	7.8	8	8

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გათვლები.

ნაკეთობანი. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქიმიური წარმოება (15 პროცენტით), სამედიცინო ტექნიკის ნაწარმის, საზომი მოწყობილობის, ოპტიკური ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება (12 პროცენტით). მწარმოებელთა ფასების ინდექსი იმ თვალსაზრისითაც საინტერესოა, რომ იგი სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკაზე მნიშვნელოვან (ბოგჯერ წინმსწრებ) ინფორმაციას იძლევა და, შესაბამისად, მათ შორის მაღალი კორელაცია არსებობს (2005-2006 წლებში – 88.7 პროცენტი), რაც ნათლად ჩანს გრაფიკებზე.

წლის დასაწყისში მწარმოებელთა ფასების ინდექსის ნახტომისებური მრდის ძირითადი მიზეზი, ლითონის მაღალი მოპოვება იყო, რაც, თავის მხრივ, ამ პროდუქტზე მსოფლიო ბაზარზე ფასების აწევამ განაპირობა. ასევე მნიშვნელოვანია კვების მრეწველობაში, რომელიც გადამამუშავებელი მრეწველობის ნახევარზე მეტს შეადგენს, მწარმოებელთა ფასების მაგება, რის ერთ-ერთ მიზეზსაც ასევე მსოფლიო ბაზარზე შაქრის გაძვირება წარმოადგენს.

მშპ-ის დეფლატორი

საქართველოს, როგორც მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის პირობებში განსაკუთრებით საყურადღებოა მშპ-ის დეფლატორის განხილვა, რადგანაც ქვეყანაში შიდა მოთხოვნის რაციონალურ მოთხოვნასთან შედარებით უფრო მაღალი გემპით მრდ, გაცვლითი კურსის უცვლელობის პირობებში, ფასის მიმდების პრინციპიდან გამომდინარე, პრაქტიკულად მხოლოდ ადგილზე წარმოებულ პროდუქტებზე თუ აისახება. ისევე, როგორც 2004-2005 წლებში, 2005 წლის IV კვარტალშიც მშპ-ის დეფლატორის შედარებით მაღალ – 8-პროცენტთან ღონეს არამონეტარული ფაქტორები განსაზღვრავდა. კერძოდ, 3.8 პროცენტული პუნქტი სახელმწიფო მართვისა და თავდაცვის სფეროზე მოდიოდა¹, ხოლო 3 პროცენტული პუნქტი, საგადასახადო აღმინისტირების გაუმჯობესების შედეგად, არაპირდაპირი გადასახადების მრდის შედეგს წარმოადგენდა. მართალია, რამდენიმე დარგში ფასების კლება დაფიქსირდა, თუმცა, ამ მხრივ, იმდენად მკვეთრ ბეგავლენას არ ჰქონია ადგილი, რომ საერთო სურათი რადიკალურად შეეცვალა.

¹ ეკონომიკური საქმიანობის ეს სახეობა მთლიანად არასაბაზრო პროდუქციით არის წარმოდგენილი. მისი რეალური ცვლილების შეფასება დაზარალი კაცვლების ან სრული სამუშაო დღით დასაქმებული რაოდენობის მიხედვით ხდება. ასევე, მხედველობაში მიიღება შრომის პროდუქტიულობის თვისებრივი შეფასებები. ნომინალური მრდა კი ხელფასების მაგებით განისაზღვრება. ამდენად, სახელმწიფო მართვის დარგის დეფლატორი ფასების მონეტარული ფაქტორებით პროდუქტიულობის მრდს არ ასახავს.

ინფლაციის მაჩვენებელი და მისი აღქმა

მიუხედავად ფასების საერთო ღონის სტაბილურობისა, ჩვენი აზრით, ეკონომიკური აგენტები ინფლაციას ოფიციალურ მაჩვენებელთან შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებლით აღიქვამენ. ამის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მომხმარებელი, ზოგადად, იმ პროდუქციის ფასების მაგებას უფრო მეტად აღიქვამს, რომელსაც ხშირად შეიძენს. ე. ი. თუ ორ პროდუქტს სამომხმარებლო კალათაში გააჩნია ერთი და იგივე წონა, ბუნებრივია, მათზე ფასების თანაბარი გემპით ცვლილება ფასების საერთო ღონეზე ერთსა და იმავე გეგავლენას იქონიებს. აღქმის თვალსაზრისით კი, უფრო მეტი გეგავლენის მქონე იმ პროდუქტის გაძვირება იქნება, რომელიც ხშირი შესყიდვის საგანია. არადა, მიმდინარე წლის მარტში, 2004 წლის მარტთან შედარებით (ორი წლის განმავლობაში), სამომხმარებლო ფასებმა 14.7 პროცენტით აიწია. მათ შორის, ხანმოკლე მოხმარების საქონელი 19.6 პროცენტით იყო გაძვირებული, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონლის ფასი მხოლოდ 4.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონელი 1.6 პროცენტით გაიზარდა კი იყო. იმავედროულად, ამავე პერიოდში მომსახურების ტარიფებმა 5.4 პროცენტით აიწია. ბუნებრივია, რამდენადაც საქართველოს სამომხმარებლო კალათაში ხანმოკლე მოხმარების

საქონლის ხვედრითი წილი ბევრად აღემატება საშუალო და ხანგრძლივი მოხმარებისას¹, ფასების საერთო ღონის ცვლილებაზე გეგავლენაც შესაბამისი იყო, თუმცა, აღქმის მხრივ, გეგავლენა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხანმოკლე მოხმარების საქონლის გაძვირება მოსახლეობას მძიმე გვირგვინად აწევს. თუკი საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შესყიდვის გადავადება შესაძლებელია, რაც ასუსტებს ფასების ზრდით გამოწვეული შემოსავლის გაუფასურებას, მოკლევადიანი მოხმარების საქონლის შესყიდვის გადავადება პრაქტიკულად გამორიცხულია და მისი გაძვირება უფრო მეტად ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობით უნარს.

გემოაღნიშნული ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ინფლაციის არასწორად აღქმის გამო, ფაქტობრივთან შედარებით მისი უფრო მაღალი მაჩვენებლის მოლოდინმა, თავის მხრივ, შეიძლება სამომხმარებლო ფასების მაგება გამოიწვიოს. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში კი, როდესაც ინფლაციის მოლოდინი აჭარბებს ცენტრალური ბანკის ფასების საერთო ღონის ცვლილების მიზნობრივ მაჩვენებელს, ფასების საერთო ღონის სტაბილურობის მიღწევა დამატებით ეკონომიკურ დანაკარგებთან არის დაკავშირებული.


¹ სამომხმარებლო კალათის გამსხვილებული კომპონენტების წონები იხილეთ ამავე მიმოხილვის მე-12 გვერდზე.

3

ინფლაციის ფაქტორები


ბრაზიკი 3.1.1

საკრედიტო სექტორის მონეტარული ბაზის მიმდინარე წლის წინააღმდეგ მიწოდება მონეტარული ინსტრუქციებისა და სავალუტო ბირჟის მისხვებით



ბრაზიკი 3.1.2

სარეზერვო ფულის ღირებულება 2004-2006 წწ.



ცხრილი 3.1.1

სარეზერვო ფულის ღირებულება 2006 წ., თვის საშუალო მონაცემებით

	12.05	01.06	02.06	03.06	04.06
სარეზერვო ფული	965,679	962,173	980,628	1,010,662	994,916
ფული მიმოქცევაში	757,856	749,525	750,025	764,167	776,114
ბანკების დეპოზიტები	207,823	212,648	230,602	246,495	218,802
სავალდებულო რეზერვები	130,669	130,971	135,858	139,980	142,765
საკრედიტო სექტორის რეზერვები	77,154	81,677	94,744	106,515	76,037
ანგარიშებზე ნაშთები	19.70%	22.10%	26.30%	27.40%	21.90%
სარეზერვო ფულის წლიური ზრდა					

3.1. მონეტარული აგრეგატები

2006 წლის მარტში, თვის საშუალო მონაცემების მიხედვით, სარეზერვო ფულის წლიური ზრდა 27.4 პროცენტით შეადგინა, ხოლო M2 და M3, შესაბამისად, 34.4 და 34.0 პროცენტით გაიზარდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა ჭარბი ლიკვიდობის განეიტრალების მიმართულებით წარმართა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, თვის საშუალო მონაცემების მიხედვით, სარეზერვო ფული 4.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მისმა წლიური ზრდა მარტში 27.4 პროცენტით შეადგინა (2005 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 19.7 პროცენტით იყო).

თებერვალში საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის შენარჩუნებისა და შესაძლო საბანკო კრიზისის ასარიდებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორმა, განახორციელა 20 მლნ ლარის მიწოდება. მარტში, ფულის მიწოდების კონტროლის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა წარმართა ჭარბი ლიკვიდობის განეიტრალების კუთხით. კერძოდ, საკრედიტო აუქციონებით ამოღებულ იქნა 14.55 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილი განაკვეთი 5.9 პროცენტით იყო. ამასთან, ლარის კურსის მკვეთრი რყევების ასაცილებლად პირველ კვარტალში სავალუტო ბირჟაზე გაიყიდა 11.3 მლნ აშშ დოლარი, რითაც დამატებით ამოღებულ იქნა 20.6 მლნ ლარის ლიკვიდობა. სულ პირველ კვარტალში მონეტარული ინსტრუქციებისა და სავალუტო ბირჟის მეშვეობით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემიდან 15.1 მლნ ლარი ამოიღო.

ფართო ფული

2006 წლის მარტში, თვის საშუალო მონაცემების მიხედვით, M2 და M3 აგრეგატების წლიური ზრდა, შესაბამისად, 34.4 და 34.0 პროცენტით შეადგინა, რაც ძირითადად დეპოზიტების მაგვარად განაპირობა.


ცხრილი 3.1.2

სარეზერვო ფულის ღირებულება
2006 წ., თვის ბოლო მონაცემებით

	12.05	01.06	02.06	03.06	04.06
სარეზერვო ფული	1,001,451	981,862	1,003,217	978,908	1,035,131
ფული მიმოქცევაში	811,400	749,215	756,571	775,443	792,910
ბანკების დეპოზიტები	190,051	232,647	246,646	203,466	242,221
საგადასახდელი რეზერვები	129,833	133,183	137,960	139,334	143,655
საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	60,218	99,464	108,686	64,132	98,566
სარეზერვო ფულის წლიური მრდა	19.70%	26.90%	25.80%	21.00%	22.20%

ბრაზილი 3.1.3

ფართო ფული
2004-2006 წწ.



ცხრილი 3.1.3

ფულადი აბრეზატების ყოველთვიური ცვლილება
2006 წ., თვის ბოლო მონაცემებით

	01.06	02.06	03.06	04.06
ფართო ფული (M3)	1,937,372	1,967,731	2,003,218	2,166,389
ფულადი მასა (M2)	1,050,325	1,052,238	1,087,516	1,142,254
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	682,176	688,986	709,102	714,856
ლარი მიმოქცევაში	749,215	756,571	775,443	792,910
დეპოზიტები	368,149	363,252	378,414	427,398
ეროვნული ვალუტით				
ფართო ფული (M3), წლიური მრდა	35.50%	33.60%	33.80%	36.60%
ფართო ფული (M2), წლიური მრდა	34.20%	30.30%	33.90%	33.40%

ცხრილი 3.1.4

ფულადი აბრეზატების ყოველთვიური ცვლილება
2006 წ., თვის საშუალო მონაცემებით

	01.06	02.06	03.06	04.06
ფართო ფული (M3)	1,903,627	1,921,751	1,993,524	2,082,984
ფულადი მასა (M2)	1,026,072	1,039,195	1,073,505	1,117,572
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	683,949	683,061	690,421	710,012
ლარი მიმოქცევაში	749,405	751,361	766,587	785,728
დეპოზიტები	342,123	356,134	383,085	407,559
ეროვნული ვალუტით				
ფართო ფული (M3), წლიური მრდა	32.80%	32.30%	34.00%	36.40%
ფართო ფული (M2), წლიური მრდა	29.70%	31.60%	34.40%	36.40%

2006 წლის I კვარტალში სადეპოზიტო ვალდებულებები ეროვნული და უცხოური ვალუტით 119.2 მლნ ლარით გაიზარდა, აქედან უცხოური ვალუტით დეპოზიტები გაიზარდა 31.9 მლნ აშშ დოლარით, ხოლო ლარით დენომინირებული დეპოზიტების მაგნიტა 44.8 მლნ ლარით შეადგინა. ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის 27.1 მლნ ლარით შემცირებისა და სადეპოზიტო ვალდებულებების მრდის ფონზე, ფართო ფულის M3 აგრეგატი წლის დასაწყისიდან 92.0 მლნ ლარით, ხოლო ფართო ფულის M2 აგრეგატი 17.6 მლნ ლარით გაიზარდა. შესაბამისად, M3 აგრეგატის მოცულობა მარგის ბოლოს 2003.2 მლნ ლარს, ხოლო M2-ისა 1087.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

3.2 საპროცენტო განაკვეთების, სადეპოზიტო ვალდებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა

საანგარიშო პერიოდში საბანკო სისტემის დეპოზიტების (წლიური 45.7 პროცენტი) და სესხების (წლიური 86.7 პროცენტი) მაგნიტა უპრეცედენტოდ მაღალი იყო. ამასთან, საბანკო სისტემის განვითარების ფონზე იზრდებოდა საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე, ხოლო სესხებზე – მცირდებოდა, რაც ფინანსური სიღრმის მრდას იწვევდა.


მიმდინარე წლის სამ თვეში ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებებმა 119.2 მლნ ლარით (10.1 პროცენტით) მოიმატა და 1294.1 მლნ ლარი შეადგინა. ამავდროულად პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტით მიღებული დეპოზიტები 44.8 მლნ ლარით არის გაზრდილი, უცხოური ვალუტით დენომინირებულმა დეპოზიტებმა წლის დასაწყისიდან 31.9 მლნ აშშ დოლარით (6.8 პროცენტით) მოიმატა და მარგის ბოლოსთვის 501.2 მლნ აშშ დოლარი¹ შეადგინა.

მიმდინარე წლის I კვარტალში ვაღიან დეპოზიტებზე დაფიქსირდა საპროცენტო განაკვეთების მრდა, განსაკუთრებით ლარებით მოზილულ დეპოზიტებზე, რომლებზეც საპროცენტო განაკვეთები 2005 წლის IV კვარტალთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით არის მომატებული.

¹ უცხოური ვალუტით მოზილული დეპოზიტები, გამოსახული ეროვნული ვალუტით, 915.7 მლნ ლარი იყო.


ბრაზიკი 3.2.1

ჰაღინი ღეპოზიტუმის მოცულობა (მარცხენა სკალა, მლნ ლარი) და საპროცენტო განაკვეთი (მარჯვენა სკალა) 2005-2006 წწ.




ბრაზიკი 3.2.2

ბრძელვადიანი ღეპოზიტუმის საპროცენტო განაკვეთი ლარის წილი 2005-2006 წწ.



ბრაზიკი 3.2.3

სესხების მოცულობა (მარცხენა სკალა, მლნ ლარი) და საპროცენტო განაკვეთი (მარჯვენა სკალა) 2005-2006 წწ.



2006 წლის I კვარტალში ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების მაღალი მრდის ტემპი კვლავ გაგრძელდა და ეკონომიკისათვის გაცემულმა სესხებმა 1947 მლნ ლარს მიაღწია, რაც 86.1 პროცენტით აღემატება გასული წლის პირველი კვარტალის მონაცემს. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს სესხების წლიური მრდის მაჩვენებელი 83.2 პროცენტი იყო. სესხების უპრეცედენტო მრდის ფონზე კვლავ გრძელდება საპროცენტო განაკვეთების სტაბილურად შემცირება.

სესხებზე საპროცენტო განაკვეთის კლება შესაძლოა რამდენიმე ფაქტორის კომბინაციით იყო გამოწვეული. კერძოდ, ბიზნესისათვის უფრო სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შექმნამ ყველა სახის სესხზე რისკის პრემიის მოკლება განაპირობა. S&P-ის მიერ საქართველოსათვის რეიტინგის მინიჭებაც (B მოკლევადიანი, B+ გრძელვადიანი) ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ნიშანია. ასევე, ახალი გეწლოლოგიების დაწესება და კარგი გამოცდილების გამოყენება ხელს უწყობს ბანკების მიერ ოპერაციული ხარჯების შემცირებას და რისკების უკეთ შეფასებას. აგრეთვე, საბანკო აქტივობის მნიშვნელოვანი მრდის ფონზე, ერთ-ერთი ფაქტორი, რასაც შეიძლება საპროცენტო განაკვეთების კლება მოჰყოლოდა, საბანკო სექტორისათვის დამახასიათებელი მასშტაბის ეკონომიაა. საბანკო სექტორში გამძაფრებულმა კონკურენციამ ბანკებს საშუალო ოპერაციული ხარჯების შესამცირებლად გამსხვილებისაკენ უბიძგა. მოსალოდნელია, რომ საფინანსო სექტორის მრდისათვის ერთად ბანკების გაერთიანება-გამსხვილება კვლავაც გაგრძელდეს, რაც მასშტაბის ეკონომიის ეფექტის საშუალებით პატარა ბანკებს საბანკო მომსახურების ძირითად სფეროებში ნაკლებად კონკურენტულს გახდის და მათ სპეციალიზებას გამოიწვევს.


სესხების განაწილება ღარგების მიხედვით გვიჩვენებს, რომ სესხები ძირითადად ვაჭრობაში, მრეწველობასა და მშენებლობაში არის კონცენტრირებული. აგრეთვე, მათი მნიშვნელოვანი წილი ფიზიკურ პირებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ სესხების უმეტესობა, ფინანსური და სახელმწიფო სექტორების გარდა, უცხოური ვალუტით არის გაცემული. სოფლის მეურნეობაში ვალაგადაცილებული სესხების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, რაც ამ სფეროში სესხების მცირე რაოდენობის მიზეზი შეიძლება იყოს. მშენებლობაში ვალაგადაცილებული სესხების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ეს კი ამ სექტორის მაღალ რენტაბელურობაზე მიუთითებს. აღნიშნული ასახვას პოულობს მშენებლობის სფეროსათვის გაცემულ სესხებზე დაბალი რისკის პრემიაშიც. მარგის განმავლობაში სამშენებლო სექტორისათვის გაცემულ სესხებზე საფინანსო

სემონური ფაქტორების გავლენა საპროცენტო განაკვეთებზე

საინტერესო სურათს იძლევა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ვალიანობის განხილვა. 2006 წლის I კვარტალის ბოლოსათვის ღარიტ გაცემულ მოკლევადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო დაბალი იყო, ვიდრე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე. ღარიტ გაცემულ გრძელვადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთები კი პირიქით, უფრო მაღალია, უცხოური ვალუტით გაცემულ გრძელვადიან სესხებთან შედარებით. აღნიშნული ორი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული.

ბრაზიკი 3.2.4
პროცენტული განაკვეთები კრედიტზე ვალიანობის მიხედვით 2006 წ., მარტი

■ უცხოური ვალუტით
■ ეროვნული ვალუტით




პირველი ფაქტორი ეკონომიკის სტრუქტურულად გამოძინარეობს. მოკლევადიან სესხებზე მოთხოვნის ღარიტ არსებობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გადასახადების ღარიტ გადახდისას წარმოქმნილი ლიკვიდურობის მოთხოვნის გამო. ასევე, ქართული ეკონომიკისათვის ძირითადად დამახასიათებელია გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელება უცხოური ვალუტით, ხოლო სამომხმარებლო ხარჯების ანგარიშსწორება

ღარიტ ხდება, რაც მოთხოვნის კონცენტრირებას ღარიტ ღარიტინირებულ მოკლევადიან სესხებზე ახდენს.

მეორე ფაქტორი, რომლის მეშვეობითაც საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა შეიძლება აიხსნას, ბანკების მიერ ღარიტ კურსის სემონური რყევების გათვალისწინებას ეფუძნება. ღარიტა და უცხოურ ვალუტებზე საპროცენტო განაკვეთების ფარდობითი ცვლილება შეიძლება გამოიყენოთ, როგორც ბანკების მიერ გაცვლითი კურსის მოლოდინის ინდიკატორი. მარტიტ ბანკები მოკლევადიან პერიოდში ღარიტ გამყარებას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მის გაუფასურებას მოელოდნენ. გრძელვადიან პერიოდში ღარიტ გაუფასურების მოლოდინი მთლიანად ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფაქტორია. მოკლევადიან პერიოდში კი ღარიტ გამყარების მოლოდინი ემთხვევა კურსის სემონურ გამყარებას (გამაფხულიდან მაფხულამდე კურსი სემონურად მყარდება).


ბრაზიკი 3.2.5
პროცენტული განაკვეთები კრედიტზე ვალიანობის მიხედვით 2005 წ., აგვისტო

■ უცხოური ვალუტით
■ ეროვნული ვალუტით



ბრაზიკი 3.2-6

მილიანი სსსხმისა და ვალუტა-სტრატეგიული სსსხმის განაწილება რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს 2006 წ., პირველი აპრილის მდგომარეობით



შეუამავლობის შემდეგ ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი აღინიშნებოდა (14.5 პროცენტი).

3.3 სავალუტო კურსი, დოლარიზაცია და საგადასახდლო ბალანსი


სავალუტო ბაზარი

ლარის გაცვლითი კურსი 2006 წლის I კვარტალში შედარებით სტაბილური იყო, თუმცა შეინიშნებოდა გაუფასურების მცირე ტენდენცია. იგივე შეიძლება ითქვას ლარის რეალურ და ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსებზეც, თუმცა, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, დაფიქსირდა ამ მაჩვენებლების გამყარება.

მიმდინარე ანგარიში კვლავ გაუარესდა, რაშიც შიდა მოთხოვნის მრღასთან ერთად ენერგომომარებულების მნიშვნელოვანმა გაძვირებამ ასევე ანგარიშგასაწევი როლი ითამაშა.

ბრაზიკი 3.3.1

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მიწოდება-მოთხოვნა შორის სხვაობა და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა დაფიქსირებული გაცვლის კურსი: ლარი/აშშ დოლარი 2006 წ., I კვარტალი




2005 წლის I კვარტალის განმავლობაში ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურების ტენდენციით ხასიათდებოდა. თუ წლის დასაწყისში ლარის კურსი 1.798-ის ტოლი იყო, 31 მარტს ის უკვე 1.826-ს გაუტოლდა, რაც 1.56 პროცენტით გაუფასურებას შეესაბამება. აღნიშნული პარამეტრი პრაქტიკულად ემთხვევა ამავე პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელს, რომელიც 1.48 პროცენტის ტოლია. ლარის აღნიშნული გაუფასურება გრადიციულ სემონურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. ამასთან, 2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ლარის კურსი ოდნავ გამყარდა, როგორც პერიოდის ბოლო (0.5 პროცენტი), ისე პერიოდის საშუალო (0.7 პროცენტი) მონაცემებით. ლარზე მოთხოვნის შემცირება გამოწვეული იყო როგორც გრადიციული სემონური ფაქტორებით, ისე, უმეტესწილად, ნავთობსა და ენერგომომარებულებზე (ძირითადად რუსეთიდან იმპორტირებული გაზის გაძვირება) მზარდი ფასებით, რის გამოც გაიზარდა იმპორტიორების მხრიდან აშშ დოლარზე მოთხოვნა.

ბანკოტურ სეგმენტზე ლარის კურსის რყევა მეტად უმნიშვნელო იყო (კვარტალის განმავლობაში 1.813-1.8186 საშუალო მნიშვნელობები, 0.0107 და 0.0105 სტანდარტული გადახრები, შესაბამისად, ყიდვისა და გაყიდვის კურსებისთვის), რაც იმაზე მიუთითებს, რომ


ბრაზილი 3.3.2

ლარის ბანკნოტური კურსის დინამიკა
2006 წ., I კვარტალი




ბრაზილი 3.3.3

რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი
დეკემბერი 1995=100



ბრაზილი 3.3.4

ლარის რეალური გაცვლითი კურსის ინდექსი სხვადასხვა
პალატის მიმართ
დეკემბერი 1995=100



ბაზარი ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრ რყევებს არ ელოდა.

2006 წლის I კვარტალში აშკარა იყო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურების ტენდენცია – თუ 2005 წლის ბოლოს რეალური ეფექტური კურსის ინდექსი 110.2-ის გოლი იყო, მარგის ბოლოსათვის ის უკვე 105.7-ს გაუტოლდა, რაც 4.1 პროცენტით გაუფასურებას შეესაბამება. იგივე შეიძლება ითქვას ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე, რომელიც იმავე პერიოდში 3.4 პროცენტით გაუფასურდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ნომინალური, ისე რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მცირედ გამყარდა 2005 წლის I კვარტალის მაჩვენებლებთან შედარებით – შესაბამისად, 2.7 და 2 პროცენტით.

ანალოგიური დინამიკით ხასიათდებოდა ლარის რეალური გაცვლითი კურსი ცალკეულ ვალუტებთან მიმართებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად, 8.57 პროცენტით გაუფასურდა ლარის რეალური გაცვლითი კურსი რუსული რუბლის მიმართ, რაც როგორც რუბლის მკვეთრი გამყარებით, ისე რუსეთში 2006 წლის I კვარტალში დაფიქსირებული მაღალი ინფლაციის შედეგია.

საგადასახელო ბალანსი


2006 წლის I კვარტალში გაგრძელდა მიმდინარე ანგარიშის ლეფიცის გაუარესების ტენდენცია. 2005 წლის II კვარტალიდან ეს მაჩვენებელი თითქმის 1.8-ჯერ გაუარესდა და 140 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ძირითადად სავაჭრო ბალანსის გაუარესების შედეგია.

თუ, საშუალოდ, 2005 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ექსპორტისა და იმპორტის თითქმის თანაბარი ტემპებით ზრდას, 2006 წლის I კვარტალში იმპორტი კვლავ წინმსწრები ტემპით – 46 პროცენტით გაიზარდა, ექსპორტის ზრდამ 28 პროცენტი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო სავაჭრო ბალანსი გაუარესდა თითქმის 75 პროცენტით, ხოლო იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი, 2005 წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, 10 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 54 პროცენტი შეადგინა. მოვლენების ამგვარ განვითარებაზე მეტ-ნაკლებად ერთნაირად მოქმედებდა როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორები.

ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, ასევე რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე ფასის აწვევის შედეგად


ბრაზიკი 3.3.5

მიმდინარე ანგარიშის ფიქსირების დინამიკა




ბრაზიკი 3.3.6

საქონლის იმპორტის სტრუქტურა (პროცენტები)



ბრაზიკი 3.3.7

საქონლის იმპორტის სტრუქტურა (პროცენტები)



მნიშვნელოვნად გაიზარდა აღნიშნული საქონლის იმპორტის მოცულობა (42 პროცენტით, 2-ჯერ, შესაბამისად), რის გამოც პირველ კვარტალში იმპორტის მთლიანი მაგების 23 პროცენტი საქონლის სწორედ ამ სახეობებზე მოდის. იმპორტის მრღამე ასევე სერიოზული გავლენა (მთლიანი მაგების 16 პროცენტი) იქონია მსუბუქი ავტომობილების იმპორტის 2.3-ჯერ მრღამ. აღნიშნულის საპირისპიროდ, იმპორტის მაგებაზე ჯერ კიდევ უმნიშვნელო გავლენას ახდენს საინვესტიციო საქონლის იმპორტის მოცულობა. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში სერიოზული მრღამ (2.5-ჯერ) მხოლოდ კავშირგაბმულობის სფეროს გეგნიკური განახლებისათვის საჭირო აპარატურის იმპორტმა განიცადა და იმპორტის მთლიანი მაგების 4.5 პროცენტი შეადგინა.

სერიოზული ცვლილებები შეინიშნებოდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში, სადაც 10-პროცენტისა და ღირით პირველი ადგილი ღვინოს ეჭირა, ხოლო შავი ლითონების ჯართი, რომელიც უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე პირველ პოზიციამ იყო გამყარებული, 6.4-პროცენტისა და ღირით მე-4 ადგილზე ინაცვლებს; თხილსა და კაკალზე მსოფლიო ფასების მრღამ პროდუქციის ამ სახეობის ექსპორტის მოცულობის მნიშვნელოვანი – 2.1-ჯერ მრღამ გამოიწვია და ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მე-3 პოზიციამ დაიკავა. აგრეთვე გაიზარდა, მინერალური წყლების, ამოტოვანი სასუქების, ოქროს ექსპორტის მოცულობები.

2006 წლის I კვარტალში გრძელდებოდა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინება, ძირითადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ელექტრონული გრანსფერების სახით. ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების („უესტერნ იუნიონი“, „მანი გრამი“, „ანელიკი“, „კავკასუს ექსპრესი“ და სხვ.) მეშვეობით მიმდინარე წლის I კვარტალში საქართველოში გადმოირიცხა 101.5 მლნ აშშ დოლარი, რაც 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 24.1 მლნ აშშ დოლარით, ანუ 31.1 პროცენტით აღემატება. ამავე პერიოდში ინვესტიციები განხორციელდა ქვეყნის საბანკო სისტემაში, კავშირგაბმულობის სფეროში, ენერჯეტიკისა და მანქანათმშენებლობის სექტორებში. წინასწარი შეფასებით, მიმდინარე წლის I კვარტალში საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 90 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. საგადასახადო შემოსავლების ასევე მნიშვნელოვანი წყარო საკრედიტო დაწესებულებების მიერ სამღვარგარეთიდან მოზიდული სესხები იყო, რომლებიც პირველ კვარტალში 78 მლნ-ით გაიზარდა მთლიანად გრძელვადიანი სასსრების ხარჯზე.


3.4 წარმოების დანახარჯები

ნავთობის ფასები

2006 წლის I კვარტალში, მსოფლიო ბაზარზე შენარჩუნებული იყო ნავთობის მაღალი ფასები, რაც შესაბამის ასახევას ჰპოვებდა საქართველოში საწვავის ფასებზე. 2006 წლის I კვარტალის ბოლოსათვის ერთი ბარელი ნელლი ნავთობის ფასი 70 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც წლის დასაწყისიდან 5.5-პროცენტთან მრდას შეადგენს.

2006 წლის I კვარტალში მსოფლიოში მაკროეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნიდა ნელლი ნავთობის ფასის მკვეთრი აწევა. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია ენერგორესურსებზე მსოფლიო მასშტაბით გაზრდილი მოთხოვნა, რომელიც „ოპეკის“ (ნავთობის ექსპორტორი ქვეყნების გაერთიანება) პროგნოზით, უახლოეს პერიოდში არ შემცირდება. ამასთან, ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური გეოპოლიტიკური სიტუაციის, კერძოდ, ირანსა და აშშ-ს შორის მოსალოდნელი საომარი მოქმედებების ფონზე, მსოფლიოში გაჩნდა შიში, რომ ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყნები ნაწილობრივ ან მთლიანად შეაჩერებენ ნელლეულის ექსპორტს. ზოგადად, ნავთობის ფასის სტაბილურ მრდას ხელს უწყობდა ასევე 2005 წელს აშშ-ში სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში, რომლებიც სრული დატვირთვით ჯერ კიდევ ვერ ფუნქციონირებდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა 2006 წლის I კვარტალის ბოლოსათვის ერთი ბარელი ნელლი ნავთობის ფასის 70 აშშ დოლარამდე მაგება, რაც წლის დასაწყისიდან 5.5-პროცენტთან მრდას შეადგენს.

ბრაზოვი 3.4.1
ნავთობის ფასის დინამიკა
2006 წ., I კვარტალი




საგულისხმოა, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების რეკორდულად მრდას მიუხედავად, ზოგიერთი ღილი ქვეყნის მხრიდან (აშშ, ჩინეთი, ინდოეთი) მასზე მოთხოვნა მიწოდებასთან შედარებით უფრო მაღალი ტემპით იზრდებოდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ძირითადი ნავთობპროდუქტების ფასი საქართველოშიც გაიზარდა. კერძოდ, 2005 წლის მანძილზე ბენზინის ფასმა 15 პროცენტით მოიმატა, ხოლო დიზელის ფასმა – 18 პროცენტით.

საყურადღებოა, რომ 2005 წელს ნავთობის ფასის მრდამ მსოფლიო ბაზარზე საქართველოში საწვავის გაძვირების ტემპს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. განსხვავება მეტწილად მაღალი აქციზური გადასახადის

ბრაზიკი 3.4.2

ნაწილობრივ საერთაშორისო ფასისა და საქართველოში ნაწილობრივ ლუქტების ფასების დინამიკა 2003 წ., ლექსები=1



ცხრილი 3.4.1

2006 წლის I კვარტალის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა და რეალური ზრდა 2005 წლის I კვარტალთან შედარებით (პროცენტით)

	ნომინალური ზრდა	რეალური ზრდა*
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	41.40	34.70
მთლიანი შემოსავლები	42.70	35.90
საგადასახადო შემოსავლები	29.40	23.20
საშემოსავლო	14.40	8.90
მოგების	59.30	51.70
დღგ	30.60	24.40
აქციები	11.00	5.70
საბაჟო	33.80	27.50
სოციალური	29.30	23.10
ქონების გადასახადი	76.20	67.80
საოთახო ბიზნესის გადასახადი	-37.60	-40.50
სხვა გადასახადები	110.60	100.60

* რეალური ზრდა დეფლირებულია 2006 წლის I კვარტალის წლიური ინფლაციით (სფი).

გამო დაფიქსირდა. ეს საქართველოს ბაზარზე ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასების მერყეობის შედეგად შექმნილი ერთ-ერთი ფაქტორია. კერძოდ, იმის გამო, რომ ნავთობპროდუქტების ფასში აქციზური გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განსხვავებით, ფიქსირებული თანხით განისაზღვრება, ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასის მერყეობა მოქმედებს ფასის მხოლოდ ნაწილზე (აქციზური გადასახადის გარეშე).

გადასახადები

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები წარმატებით შესრულდა. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, შემოსავლებმა გეგმას 49.4 მლნ ლარით გადააჭარბა. 2006 წლის I კვარტალში მთავრობის ანგარიშები, თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, 23 მლნ ლარით გაიზარდა.

2006 წლის I კვარტალის ოპერატიული ინფორმაციით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 834.9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო საკუთარმა შემოსავლებმა (მთლიანი შემოსავლები გრანტების გარეშე) – 827.6 მლნ ლარი. 2006 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების რეალურმა (ინფლაციის გათვალისწინებით) ზრდამ 2005 წლის I კვარტალთან შედარებით 35.9 პროცენტი, ხოლო საგადასახადო შემოსავლების რეალურმა ზრდამ 23.2 პროცენტი შეადგინა.

საგადასახადო აღმინისტირების გაუმჯობესება ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი საქონელი და მომსახურება დაუქვემდებაროს დაბეგვრას. შესაბამისად, იზრდება საქონლისა და მომსახურების ფასებიც. მეორე მხრივ, საგადასახადო აღმინისტირების გაუმჯობესება, რასაც სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღება მოჰყვება (მეწარმეთა თანაბარ პირობებში ჩაყენება, არაოფიციალური გადასახადების შემცირება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სხვ.) ფასებზე შემცირების მიმართულებით ახდენს გავლენას. ამრიგად, გრძელვადიან პერიოდში საგადასახადო აღმინისტირების გაუმჯობესებას (გონივრული საგადასახადო განაკვეთების პირობებში, როგორც ამჟამად საქართველოშია) ფასებსა და ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი გავლენა აქვს, ხოლო


მოკლევადიან პერიოდში შესაძლებელია ფასების ერთჯერადი ზრდა მოჰყვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები წარმატებით შესრულდა. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, შემოსავლები დაგეგმილზე 49.4 მლნ ლარით მეტია, ხოლო საგადასახადო შემოსავლები 33.4 მლნ ლარით. აქციზის გარდა, გეგმურს მნიშვნელოვნად გადააჭარბა ყველა სხვა გადასახადით მიღებულმა შემოსავალმა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ის, მოგების, სოციალური და საბაჟო გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები, კერძოდ, რეალურმა ზრდამ 2005 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 24 პროცენტი, 52 პროცენტი, 23 პროცენტი და 27 პროცენტი შეადგინა.


გადასახადების აღმინისტირების გაუმჯობესებას კარგად ასახავს საბაჟო და საგადასახადო ლეპარტამენტების შემოსავლების ღირებულება. საბაჟო ლეპარტამენტის შემოსავლები 2006 წლის I კვარტალში წინა წლის იმავე მაჩვენებელს 35.3 პროცენტით აღემატება, ხოლო საგადასახადო ლეპარტამენტის შემოსავლები 25.8 პროცენტით არის გაზრდილი. საბაჟო ლეპარტამენტის მიერ გადასახადების ამოღების მკვეთრი ზრდა ასახავს იმპორტის დაბეგვრის აღმინისტირების გაუმჯობესებას, რასაც ადასტურებს საქართველოში თურქეთიდან იმპორტის შესახებ მონაცემების სარკისებური ანალიზი. კერძოდ, 2004 წლის II კვარტალიდან მოყოლებული (მათ შორის, 2006 წლის I კვარტალში), ქართული და თურქული სტატისტიკური სამსახურების მონაცემები საქართველოში თურქეთიდან შემოსულ რეგისტრირებულ იმპორტზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მანამდე კი მათ შორის სერიოზული სხვაობა არსებობდა¹ (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, საბაჟო ლეპარტამენტის მიერ რეგისტრირებული ექსპორტის მონაცემები თურქული მხარის მონაცემებისაგან კვლავ მნიშვნელოვნად (რამდენიმეჯერ) განსხვავდება, საფარაულოდ, იმ მიზეზით, რომ ექსპორტის აღრიცხვას საქართველოს საბაჟო შეღარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვინაიდან არ წარმოადგენს საბაჟო გადასახადით ბიუჯეტის შევსების წყაროს.

გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბებით შევიდა ბიუჯეტში არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიც. კერძოდ, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად

ზრაზიპი 3.4.3
ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები სახეობის მიხედვით
2006 წ., I კვარტალი



ზრაზიპი 3.4.4
ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები
2005-2006 წწ., I კვარტალი



¹ საქართველოს მხრიდან დაფიქსირებული როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მოცულობა უფრო ნაკლებია, ვიდრე თურქული მხარის მონაცემებით იყო წარმოდგენილი.

მიღებულ იქნა 38.7 მლნ ლარი გეგმით გათვალისწინებული 28 მლნ ლარის ნაცვლად. არასაგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 179.3 მლნ ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 163.4 მლნ ლარისა. არასაგადასახადო შემოსავლებიდან აღსანიშნავია ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელისათვის ლიცენზიის გაცემის თანხა – 72 მლნ ლარი და საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება 51 მლნ ლარის ოდენობით (ნაცვლად დაგეგმილი 40 მლნ ლარისა).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრი მრდა ხარჯების მრდასაც განაპირობებდა. მათ შორის, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა 2006 წლის I კვარტალში შეადგინა 79.6 მლნ ლარი, რაც 23.7 მლნ ლარით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.

მთავრობის ოპერაციების განხილვისას მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების თანაფარდობა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია მიმოქცევაში გაშვებულ იქნეს ჭარბი ლიკვიდობა ან პირიქით, შეიქმნას დეფიციტი.

2006 წლის I კვარტალში მთავრობის ანგარიშები თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით გაიზარდა 23 მლნ ლარით. ამასთან, ბიუჯეტმა მიიღო სავალუტო ოპერაციებით 12 მლნ აშშ დოლარის წმინდა შემოღინება, რაც დაახლოებით 22 მლნ ლარია. აღნიშნული ფულადი ნაკადები მიმოქცევისათვის ლარის მიწოდებას იწვევს, თუმცა მთავრობის დეპოზიტებზე თანხების აკუმულირებამ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეგარული ინსტრუმენტების გამოყენებამ განაეიტრაღა აღნიშნული გეწოღა.

ცხრილი 3.4.2

თურქეთიდან საქართველოში იმპორტის ამსახველი მონაცემები (FOB-ფასებში)

	2001 წ.	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი (ათასი აშშ დოღარი)	99781	81854	102153	192176	268860	38248
თურქეთის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტი (ათასი აშშ დოღარი)	144049	100621	155068	198738	268427	30558
გაღაფრვის კოეფიციენტი	1.4	1.2	1.5	1.0	1.0	0.8

შრომის პროღექტიუღობა, ხეღფასი

2005 წელს აღინიშნა ნომინალური ხეღფასის საკმაოღ მკვეთრი მრდა (წღიური 27.4 პროცენტი), რაც შრომის პროღექტიუღობის 16.2-პროცენტიანი მაღების ფონზე, ერთი შეხეღვით, მნიშვნელოვან ინფლაციურ რისკს შეიცავს. თუმცა, სახელმწიფო არასაბაზრო სეღტორის გაღორიციხვით, შრომის პროღექტიუღობისა და ნომინალური ხეღფასის მაღების გემპებს შორის ღიღი გაღახრა არ ფიქსირღება.

ცხრილი 3.4.3

ერთი დასაქმებულზე რეალური დამატებული ღირებულებისა და ნომინალური ხელფასის წლიური ზრდის ტენდენციები 2005 წ.


	დამატებული ღირებულების რეალური ზრდა (პროცენტები)	ხელფასის ნომინალური ზრდა (პროცენტები)
სოფლის მეურნეობა	14.4	25.7
მრეწველობა	11.7	14.7
მშენებლობა	15.7	-11.8
ეაჭრობა	9.4	24.4
სასტუმროები და რესტორნები	28.8	16.5
გრანსპორტი და კავშირგაბმულობა	15.6	41.8
საფინანსო შუამავლობა	36.8	13.7
ოპერაციები უძრავი ქონებით	18.1	27.3
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	0.7	80.8
განათლება	19.4	6.0
ჯანდაცვა	-0.6	6.1
მომსახურების სხვა სახეები	19.1	61.5
სულ	16.2	27.4

წყარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის ლეპარატორიის მონაცემები, შინამეურნეობათა გამოკვლევები და სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბრაზილი 3.4.5

საშუალო თვიური ხელფასი და დამატებული ღირებულება ერთი დასაქმებულზე

- ნომინალური საშუალო თვიური ხელფასი, ლარი
- რეალური საშუალო თვიური ხელფასი, ლარი*
- წარმოებული დამატებული ღირებულება ერთი დასაქმებულზე ათასი ლარი წელიწადში, მიმდინარე ფასით
- წარმოებული დამატებული ღირებულება ერთი დასაქმებულზე ათასი ლარი წელიწადში, 1996 წლის ფასით



*რეალური ხელფასი გაანგარიშებულია სფი-ით შესწორებით.

2005 წლის მონაცემებით, დამატებული ღირებულების ღირებულება ერთ დასაქმებულ პირზე მნიშვნელოვნად განსხვავდება ეკონომიკის დარგების მიხედვით. ამ მხრივ, ყველაზე მცირე მაჩვენებლები სოფლის მეურნეობისა და განათლების სფეროებშია. ყველაზე მაღალი კი მშენებლობის, სასტუმროებისა და რესტორნების, აგრეთვე გრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში.

2005 წელს, გასულ წელთან შედარებით, რეალური დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე ყველაზე მეტად საფინანსო შუამავლობის სფეროში, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელში გაიზარდა – 37-ითა და 29 პროცენტით შესაბამისად. საკმაოდ მაღალი ზრდა აღინიშნა სხვა დარგებშიც, გარდა ჯანდაცვისა. მთლიანად ეკონომიკაში, 2005 წელს ერთ დასაქმებულზე შექმნილი დამატებული ღირებულების რეალური ზრდა 16.2 პროცენტი იყო.


2005 წელს აღინიშნა ხელფასის საკმაოდ მკვეთრი ზრდა. წლის განმავლობაში საშუალო თვიური ხელფასმა (გადასახადების გარეშე) 152.2 ლარი შეადგინა. მისი ნომინალური წლიური ზრდა კი 27.4 პროცენტი იყო, რაც შრომის პროდუქტიულობის 16.2-პროცენტთან მატების ფონზე, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვან ინფლაციურ რისკს შეიცავს. თუმცა, ისეთი არასაბაზრო სფეროს გამორიცხვით, როგორც არის სახელმწიფო მართვა და თავდაცვა, სადაც ნომინალური ხელფასის მატება რეკორდულად მაღალი – 81-პროცენტთან მახვევებით განისაზღვრა, ხოლო შრომის პროდუქტიულობა მხოლოდ 0.7 პროცენტით გაიზარდა, ეკონომიკაში ნომინალური ხელფასების მატების ტემპი 19 პროცენტს შეადგენს, ხოლო შრომის პროდუქტიულობა – 16.6 პროცენტს. შედეგად, ნომინალური ხელფასის ზრდასა და შრომის პროდუქტიულობას შორის დიფერენციალმა თავდაპირველი 11.2 პროცენტული პუნქტის ნაცვალად მხოლოდ 2.4 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ეს სავსებით მისაღები მაჩვენებელია. ამასთან, პოტენციურ ინფლაციურ რისკებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფო სექტორში გაზრდილი ხელფასების ეფექტის კერძო სექტორზე გემოქმედების ალბათობაც, რასაც უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ამცირებს.

3.5 გამოშვება და მოთხოვნა¹

2005 წლის IV კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა ზრდამ 8.9 პროცენტით შეადგინა. მიუხედავად კვარტალური მერყეობისა, მთლიანობაში, ეკონომიკური აქტივობა წლის განმავლობაში საკმაოდ მაღალი იყო. 2005 წელს შინამეურნეობების მოხმარება, რეალური გამოხატულებით, ფაქტობრივად არ შეცვლილა, თუმცა სტატისტიკური ცლომილების გათვალისწინებით მნიშვნელოვან ზრდას უნდა ჰქონოდა ადგილი. ამავე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო მოხმარება, მაგრამ კვლავ მოკრძალებული წილით აღინიშნა ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები.


ბრაზიკი 3.5.1

მშპ-ის რეალური კვარტალური ზრდის ტენდენცია



ბრაზიკი 3.5.2

მშპ-ის რეალური კვარტალური ზრდის ტენდენცია სოფლის მეურნეობის, შინამეურნეობებში პროდუქტების გადამამუშავებისა და სახელმწიფო მართვის ბარემში, საბაზისო ფასებით




გამოშვება

2005 წლის IV კვარტალში მშპ-ის რეალურმა წლიურმა ზრდამ 8.9 პროცენტი შეადგინა. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში, მონეტარული პოლიტიკის მიზნებისა და მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკის განვითარების უფრო ფუნდამენტური ტენდენციების ანალიზისათვის მშპ-ის მაჩვენებლების მხოლოდ მთლიანობაში განხილვა ნაკლებად ინფორმატიულია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მშპ-ის საბაზრო და არასაბაზრო სექტორების ანალიზი. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის ღარგის 2/3-ზე მეტი არასაბაზრო, საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის წარმოებულ პროდუქციას უჭირავს. შესაბამისად, მშპ-ის ამ სექტორის დინამიკა ფულზე მოთხოვნასთან ნაკლებად არის დაკავშირებული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოკლევადიან პერიოდში მოთხოვნის ცვლილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასზე ახდენს ბეგავლენას და არა წარმოებული პროდუქციის რეალურ მოცულობაზე², რომელიც, თავის მხრივ, დიდწილად არის დამოკიდებული ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. ამდენად, მონეტარული პოლიტიკის მიზნებისათვის კვარტალიდან კვარტალამდე პერიოდში მშპ-ის დინამიკის შესასწავლად სასოფლო-სამეურნეო სექტორი არაინფორმატიულია. იგივე შეიძლება ითქვას შინამეურნეობებში პროდუქციის გადამამუშავების ღარგზე, რომელიც, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირშია

¹ მშპ-ისა და მისი კომპონენტების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის ლეპარატორია.
² თუმცა, ისე უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის ზრდას შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების აწევას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გააქტიურებაც შეუძლია.

ბრაზიკი 3.5.3

რეალური ნახევარწლიური ზრდის ტემპი აპრილის წინა კვარტალთან მიმართებით გააჩნდნენ უმაღლესი მნიშვნელობისა და მომსახურების ძირითადი საბაზრო სექტორების მიხედვით საბაზისო ფასით, სუბინფლაციური მნიშვნელობისა



სოფლის მეურნეობის დინამიკასთან და, მეორე მხრივ, მისი არასაბაზრო სექტორები სოფლის მეურნეობასთან შედარებით უფრო მასშტაბურია. სახელმწიფო მართვის სექტორი კი მთლიანად არასაბაზრო პროდუქციით არის წარმოდგენილი¹ და, ამდენად, მშპ-დან ამ დარგის გამორიცხვა ასევე მიზანშეწონილია, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ზოგადად ქვეყნის ბიუჯეტის დინამიკა, საქართველოში დოლარიზაციის ჯერ კიდევ მაღალი დონის გათვალისწინებით, ღარზე მოთხოვნის მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.


მშპ-დან სოფლის მეურნეობის, შინამეურნეობებში პროდუქტების გადახედვებისა და სახელმწიფო მართვის გამორიცხვის შემთხვევაში, სურათი მცირედ განსხვავებულია. მშპ-ის კვარტალური დინამიკა უფრო ასიმეტრიულია, ხოლო 2005 წლის IV კვარტალის მრდის ტემპმა 2.9 პროცენტზე, წლიურმა 9.5 პროცენტზე შეადგინა.

ეკონომიკური მრდის დარგობრივ ჭრილში განხილვისას ცხადია, რომ საერთო ეკონომიკური აქტივობა ძლიერი იყო 2005 წლის პირველ ნახევარში, როდესაც ეკონომიკურ მრდას მრავალი დარგი განაპირობებდა. წლის მეორე ნახევარში კი სურათი უფრო წინააღმდეგობრივი ხდება. ერთი მხრივ, მკვეთრად გაიზარდა გადახედვების მრეწველობა, რაც, როგორც ჩანს, ძირითადად საგარეო მოთხოვნის მაგებამ გამოიწვია, ამასთან, შენარჩუნდა ეკონომიკური მრდა კავშირგაბმულობის სფეროში. მეორე მხრივ, ეკონომიკური მრდის უარყოფითი მაჩვენებლები დაფიქსირდა ისეთ სფეროებში, როგორც არის ტრანსპორტი, ვაჭრობა, მშენებლობა, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი. მთლიანობაში, წლის განმავლობაში ეკონომიკური მრდა მართალია მაღალი, მაგრამ დარგების მიხედვით მერყევი იყო.

ასევე საყურადღებოა, რომ ეკონომიკაში მარაგების ცვლილების დინამიკა ზემოთ გაკეთებულ დასკვნებთან შესაბამისობაში მოდიოდა. კერძოდ, 2004 წლის მეორე და 2005 წლის პირველ ნახევარში სახეზე იყო მარაგების მრდის ტემპის შენელება, რაც ძლიერი მოთხოვნის ინდიკატორი შეიძლება იყოს. იმავდროულად, სხვა ფაქტორებთან ერთად

ბრაზიკი 3.5.4

მარაგების ზრდა, მიმდინარე ფასებით, სუბინფლაციური მნიშვნელობისა



¹ სახელმწიფო მართვისა და განათლების სფეროთა უმეტეს ნაწილში არასაბაზრო მიწოდებით ხორციელდება კოლექტიური და ინდივიდუალური მომსახურება და მისი მოცულობა ამ მომსახურების მიწოდებისათვის გაწეული ხარჯებით იზომება. ამავე დროს, აღნიშნული მიწოდების რეალური მოცულობის ცვლილება უმეტესად აღნიშნულ სფეროში შრომითი დანახარჯების (დახარჯული კაცულების ან სრული სამუშაო დღით დასაქმებულ პირთა რაოდენობის) მოცულობის მემკვიდრეობით აღირიცხება. თუმცა, მხედველობაში მიიღება შრომის პროდუქტიულობის თვისებრივი ცვლილებებიც.

ცხრილი 3.5.1

შპს-ის რეალური წლიური ზრდის ტემპი (პროცენტი) და უპეკინგებული პარონომიკური ზრდა (პროცენტული პუნქტებით) პარონომიკური საშინაოების სახეობების მიხედვით

	2004		2005	
	მრდ	ბეგაველი	მრდ	ბეგაველი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და საცხოვრო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	-7.9	-1.5	12	2
სამთიომომთმობელი მრეწველობა	-19.9	-0.2	-13.5	-0.1
გადამამუშავებელი მრეწველობა	11.6	1	14.3	1.2
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება, განაწილება	-4	-0.2	5	0.2
პროდუქციის გადამამუშავება	-1.7	-0.1	12.5	0.5
შინამეურნეობების მიერ მშენებლობა	35.9	2.3	22.3	1.8
ვაჭრობა; აკომოდაციის, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	8.2	1.1	3.4	0.4
სასტუმროები და რესტორნები	3.2	0.1	16.4	0.4
ტრანსპორტი, დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	3.7	0.4	5.7	0.5
კავშირგაბმულობა და ფოსტა	17	0.6	29.5	1.1
საფინანსო შუამავლობა	7	0.1	52.2	0.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	13.2	0.8	9.9	0.6
სახელმწიფო მმართველობა	9.7	0.3	-6.1	-0.4
განათლება	1.8	0.1	13.5	0.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	4.2	0.2	3.7	0.1
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	6.5	0.2	4	0.1
შინამეურნეობებში აღსრულებული მომსახურება	1.5	0	24.9	0
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	-7.9	0.1	57.6	-0.4
შპს საბაზისო ფასებით	5.6	5.3	10.1	9.3
(+) გადასახალხი პროდუქციამზე	8.3	0.6	1	0.1
(-) სუბსიდიები	-0.8	0	0.5	0
შპს საბაზისო ფასებით	5.9	5.9	9.3	9.3

ცხრილი 3.5.2

საწარმოთა სიმძლავრეების დატვირთვის დონის¹ შეფასება (საწარმოო შესწორების ბარემი, %)

	1997	07.2001	03.2002	07.2004
25 პროცენტამდე		28.0	31.4	22.4
25-დან 50 პროცენტამდე		41.6	38.9	38.4
50-დან 75 პროცენტამდე		22.7	21.7	27.5
75 პროცენტზე მეტი		7.6	8.0	11.7
სულ		100	100	100
საშუალო დატვირთვა	25	39	38	44

წყარო: „მეწარმეობის მდგომარეობა საქართველოში“- 2004 წ., ივლისი.

ცხრილი 3.5.3

საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონის განაწილება პარონომიკური საშინაოების სახეობების მიხედვით (საწარმოო შესწორების ბარემი, %)

2004 წ., ივლისი

	მრეწველობა	ვაჭრობა	კომუნი-კაცები	სხვა სავარმოები,	სულ
25%-მდე	24.4	19.9	12.7	26.0	22.4
25-დან 50%-მდე	50.1	34.6	37.1	33.1	38.4
50-დან 75%-მდე	18.6	31.2	32.1	29.7	27.5
75%-ზე მეტი	6.9	14.4	18.1	11.1	11.7
სულ	100	100	100	100	100
საშუალო დატვირთვა	38	47	51	44	44

წყარო: „მეწარმეობის მდგომარეობა საქართველოში“- 2004 წ., ივლისი.

გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლებში მსხვილი ენერგოპროექტების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მარაგების ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა.

საქართველოს ეკონომიკის ფაქტობრივი მოცულობის მის პოტენციალთან მიმართებით განსახილველად საყურადღებოა საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონის შეფასებები. ამ მხრივ, 2004 წლის ივლისის შემდეგ საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა. 2004 წლის ივლისის მდგომარეობით კი ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, 44 პროცენტი იყო. როგორც ჩანს, იმ პირობებში, როცა 2004 წლის II ნახევრიდან გამომდინარე მთლიანად ეკონომიკის მხრიდან არა იმდენად ფასების აწევით, რამდენადაც მიწოდების რეალური ზრდით მოჰყვა რეაგირება (იხ. მშპ-ის დეფლატორი, გვ. 14), გადამწვევები როლი სწორედ არსებული თავისუფალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებაში შეასრულა. შესაბამისად, უნდა გამომდინარეობდეს დატვირთვის დონე. თუმცა, ბუნებრივია, რთულია იმის გათვლა, თუ როგორ შეიცვალა ვითარება და მოგადალ ამ მაჩვენებელს რა ღონეზე და რა გემპით უმრუნველყოფა იქნება რაციონალური. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო მცირე და ღია ეკონომიკის მქონეა ქვეყანა, მასში მით უფრო სუსტია კავშირი საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონესა და ინფლაციას შორის¹. ამასთან, საქართველოს შიდა მოხმარებაში დღეის ადგილზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წილი, რომელთა რეალური მიწოდება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოკლევადიან პერიოდში ფიქსირებულია და, პრაქტიკულად, მთლიანად არამონეტარულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ასევე მნიშვნელოვანია იმის განსახილველად, თუ დატვირთვათა საწარმოო სიმძლავრეების რა წილი მოდის იმ პროდუქციამზე, რომლის მიწოდებაც საგარეო და შიდა მოთხოვნის ცვლილების მიმართ მთლიანობაში რამდენადმე მინც ელასტიკურია. გარდამავალი პერიოდის დღევანდელ ეტაპზე კი საწარმოების (მათი სიმძლავრეების) ანგარიშგასაწვეი ნაწილი არაკონკურენტული უნდა იყოს. ამდენად, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის არაინფლაციური დონის მაჩვენებელი, რომელიც დაახლოებით 4/5-ის დონეზეა, საქართველოსათვის არაშესაღარიბა.


მიუხედავად ზემოაღნიშნული სირთულეებისა, ცხადია, რომ საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონის

¹ საწარმოთა სიმძლავრის დატვირთვა გულისხმობს მოცემული საწარმოს მიერ ნორმალურ სამუშაო დროში პროდუქციის (საქონლის ან მომსახურების) შესაძლებელ გამოშვებასთან ფაქტობრივი გამოშვების თანაფარდობას (საწარმოს ძირითადი საშუალებების შეყვანის ან რემონტის გზით გაუქმობების გარეშე).

¹ C. A. Garner. Capacity Utilization and U.S. Inflation. - Federal Reserve Bank of Kansas City., p. 6-8; Economic review. - fourth quarter. - 1994. - p. 6-8.

ბრაზიკი 3.5.5

შინამეურნეობის მოხმარება




ბრაზიკი 3.5.6

შინამეურნეობის ხარჯების სტრუქტურაში სამომხმარებლო ხარჯების წილი



ბრაზიკი 3.5.7

ნამრთი ბიუჯეტის ხარჯები და წმინდა ლაკრედიტება და მათი შორის სახელმწიფო მოხმარება (მიმდინარე ფასებით)



შეფასებები მონეტარულ პოლიტიკას, საშუალოვადიან პერსპექტივაში ფასების საერთო ღონის სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობით, უფრო ეფექტიანს გახდის.

შინამეურნეობების მოხმარება

2005 წელს, წინა წელთან შედარებით, შინამეურნეობების მოხმარება ნომინალურად 8.4 პროცენტით გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე პერიოდის საშუალო წლიური ინფლაცია თითქმის ამდენივე იყო, პრაქტიკულად რეალურ გამოხატულებაში ნულოვან ზრდას მივიღებთ. თუმცა, სტატისტიკური ცლომილების გამო შესაძლებელია, რომ მნიშვნელოვან ზრდას ჰქონოდა ადგილი. ამაზე გაზრდილი საცალო ვაჭრობისა (რაც, პრაქტიკულად, მთლიანად სამომხმარებლო ხარჯების ნაწილია) და იმპორტის მახვევებლებიც მიუთითებდა. ამავე მიმართულებით მნიშვნელოვან არგუმენტს ბოლო ორი წლის მანძილზე შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურაში სამომხმარებლო ხარჯების წილის ზრდაც წარმოადგენდა. აღნიშნული მკვეთრად განსხვავდება წინა წლებში დაფიქსირებული ტენდენციისაგან, როდესაც სამომხმარებლო ხარჯების წილი ამკარად შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა. სამომხმარებლო ხარჯების წილის ზრდა ძირითადად იყო ფისკალური პოლიტიკის შედეგი, რაც შემოსავლების უფრო მაღალშემოსავლიანი ფენებიდან დაბალშემოსავლიანი ფენებისაკენ გადანაწილებით გამოიხატა.

სახელმწიფო მოხმარება

სახელმწიფო სექტორი ბოლო პერიოდში შიდა მოთხოვნის ფორმირებაზე უმნიშვნელოვანეს გეგავლენას ახდენდა. ერთი მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების ზრდა შიდა – მეტწილად კერძო სამომხმარებლო და სახელმწიფო – როგორც სამომხმარებლო¹, ასევე საინვესტიციო მოთხოვნის მატებას იწვევდა. ამასთან, დოლარიზაციის მაღალი ღონის პირობებში, საბიუჯეტო აღმინისტრირების მკვეთრმა ზრდამ ბიუჯეტის, როგორც ეროვნული ვალუტის უმნიშვნელოვანესი მოხმარებლის მხრიდან ლარზე უპრეცედენტოდ მაღალი მოთხოვნა წარმოშვა და ემიგრებული ფულის მასის მნიშვნელოვანი


¹ სახელმწიფო მოხმარებას განეკუთვნება საბიუჯეტო ხარჯები, საინვესტიციო ხარჯების, სუბსიდიების, სოციალური ტაქსის გრანტფერებისა (პენსიები, დახმარებები) და ვალუტის დაფარვა-მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების გარეშე.

ნაწილის ფინანსურ (არაშემოსავლისმიერ) ტრანსაქციებში „გაწოვა“ განაპირობა. მთლიანობაში, 2004-2005 წლებში ფულის მასის ზრდის გეგმა დაახლოებით ისეთივე რომ ყოფილიყო, როგორც წინა წლებში იყო, ეს შიდა მოთხოვნის მკვეთრ შემზღვევას გამოიწვევდა. ამდენად, ფულის მასის ზრდის უჩვეულოდ მაღალი გეგმა მთლიანად არ ნიშნავდა, რომ ეს სახსრები შიდა მოთხოვნის ზრდის დასაფინანსებლად წარიმართებოდა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ფულის მასის ზრდაზე ასევე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მასშტაბურმა შემოდინებამ ითამაშა. ამ ფაქტორის ზეგავლენის შედეგად ემიგრებული ფულის მასა კი შიდა მოთხოვნას ცალსახად ზრდიდა.

ინვესტიციები

2005 წელს ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების ნომინალური წლიური ზრდის გეგმა 13 პროცენტს შეადგენდა, რაც, განსაკუთრებით ფასების სავარაუდო გეგმით ზრდისა და ამორტიზაციის ხარჯების გათვალისწინებით, არც თუ მაღალი მაჩვენებელია. ზრდა ძირითადად სახელმწიფო და კერძო სექტორში სამშენებლო ხარჯებმა განაპირობა, ხოლო მსხვილი ენერგოპროექტების ფარგლებში გაწეულმა სამშენებლო სამუშაოებმა იკლო. არსებული გათვლებით, 2005 წელს მკვეთრად გაფართოვდა ბინათმშენებლობა, რისი მიზეზიც, სამშენებლო ხარჯების გაზრდილი ფასების მხედველობაში მიღებითაც კი, უძრავი ქონების ღირებულების რეკორდული ზრდა იყო. შედეგად, საინვესტიციო რესურსი, საბანკო სექტორის მონაწილეობის ჩათვლით, დღეისათვის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მოგებიან ღარგში მიიმართა, რაც სრულად არ განიხილება პროექტიულ აქტივად¹.

ბრაზილი 3.5.გ
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში სამშენებლო და არასამშენებლო



¹ Inflation Report. - 2003, May - Bank of England. - p. 26.8

4


პროგნოზი უახლოესი მომავლისათვის

საშუალოვადიანი პერიოდის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, რამდენად სწრაფად მოხდება რუსეთის, როგორც ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ჩანაცვლება სხვა ქვეყნებით. თუმცა, მოსალოდნელია რომ, მთლიანობაში, ბოლო პერიოდის მაღალი ეკონომიკური ზრდის გემპი მომავალშიც შენარჩუნდება.

2006 წლის ბოლოსათვის ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 5.5-7 პროცენტის ფარგლებშია, რაც გაზრდილი ეგზოგენური შოკების ფონზე მისაღები მაჩვენებელია. ინფლაციაზე მოქმედი რისკები როგორც ფასების აწევის, ასევე შემცირების მიმართულებით არის განაწილებული, თუმცა უფრო მეტად აწევისკენ არის გადახრილი. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეგარული პოლიტიკის მიმართულება დამოკიდებული იქნება მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. თუმცა, უფრო მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაამკაცროს პოლიტიკა, ვიდრე შეარბილოს ან უცვლელი დატოვოს.


ბრაზიკი 4.1

შავი ლითონების ჯართის ექსპორტი (აშშ დოლარი)
რეალური მრეწველობით და მისი ფასი რეპისტრირებაში
ვაპრობის მიხედვით
2000-2005 წწ.



ბრაზიკი 4.2

ღვინის ექსპორტი რუსეთში, უკრაინასა და ღანაოზე
ქვეყნებში რეპისტრირებაში ვაპრობის მიხედვით
2000-2006 წ., I კვარტალი



ეკონომიკური ზრდა

ექსპერტული შეფასებებით, 2005 წელს მშპ-ის ზრდის დაახლოებით ნახევარი საგარეო მოთხოვნის გაფართოების შედეგად იყო მიღებული. შესაბამისად, შემდგომში ეკონომიკური ზრდის დინამიკა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ექსპორტზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება ჯართის ექსპორტის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია, რაც ქვეყანაში ჯართის მარაგების კლებით უნდა იყოს გამოწვეული, აღსანიშნავია, რომ ჯართი ადრე წარმოებული აქტივია და, შესაბამისად, მშპ-ის დინამიკაზე ზეგავლენას მხოლოდ მის ექსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურება უნდა ახდენდეს. ამდენად, მშპ-ის ზრდის შეფერხების მხრივ, ჯართის ექსპორტის პირდაპირი ეფექტი ძალზე მცირე იქნება, თუმცა გავლენას ახდენს სავალუტო შემოსავლებზე. რუსეთის ემბარგოს გამო ღვინის, სხვა ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლების ექსპორტის შეზღუდვა კი საკმაოდ მნიშვნელოვნად აისახება როგორც სავალუტო შემოსავლებზე, ასევე მშპ-ის ზრდის დინამიკაზეც. საკუთრივ ამ ფაქტორის ზეგავლენა 2006 წლის მშპ-ის წლიურ ზრდაზე წლის დარჩენილ სამ კვარტალში პესიმისტური სცენარით, რომელიც ჩანაცვლების ნულოვან ეფექტს, ალურიცხავი ექსპორტისა და შუალედურ მოხმარებაში ადგილობრივი პროდუქციის გამოყენების, სავარაუდოდ, მაქსიმალურ მასშტაბებს ითვალისწინებს, უნდა იყოს არაუმეტეს 1.7 პროცენტული პუნქტისა. უფრო ოპტიმისტური გათვლებით კი ზეგავლენა გაცილებით ნაკლები, თუმცა არანაკლებ 0.8 პროცენტული პუნქტი იქნება. ამას ემატება

ცხრილი 4.1

საქართველოს უმსხვილესი საქსპორტო ჯგუფში რეპისტირების ექსპორტის მიხედვით

კომპონენტების ჩამონათვალი	ინვარი-მარტი, 2005 წ.		ინვარი-მარტი, 2006 წ.	
	მლნ აშშ დოლარი	პროცენტულად	მლნ აშშ დოლარი	პროცენტულად
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი, სულ	170.3	100	210.4	100
მათ შორის:				
ყურძნის ლენი, ნატურალური	13.2	7.8	21.5	10.2
ფეროშენადნობები	21.4	12.6	19.6	9.3
თხილი და კაკალი	8	4.7	17	8.1
შავი ლითონების ჯარი	28	16.5	13.5	6.4
მინერალური წყლები	5.3	3.1	11.2	5.3
ოქრო დაუზღუდავად ან ნახევრადუზღუდავად	6.3	3.7	11.1	5.3
საილემის მადნები და კონცენტრატები	14	8.2	10.2	4.8
აზოტოვანი სასუქები	4.9	2.9	10	4.7
სპირტი ეთილის არაღენატური-რეზული და სპირტიანი სასმელები	5.6	3.3	8.4	4
შაქარი	9.7	5.7	6.3	3
დანარჩენი პროდუქცია	53.8	31.6	81.6	38.8

რუსეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტირებისთან დაკავშირებული შემლუღებით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები.


მთლიანობაში მოსალოდნელია, რომ ბოლო პერიოდში არსებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი მომავალშიც შენარჩუნდება. რამდენად მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს აღნიშნულზე რუსეთის ემბარგოს ფაქტორი დამოკიდებულია, თუ რამდენად სწრაფად და სრულად მოხდება რუსეთის ბაზრის სხვა ბაზრებით ჩანაცვლება. თუმცა, ცხადია, რომ წარმატების შემთხვევაში, გაზრდილი კონკურენციის გამო, გრძელვადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკა დღეს არსებულზე უფრო ძლიერი და ღირსი ფიციონებული იქნება.

ინფლაციის პროგნოზი

მთლიანი შიდა პროდუქტისა და ფულის მასის დაგეგმილი ზრდის პირობებში, გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობის გარეშე, ნავთობის ფასების საბაზრო მოლოდინის მიხედვით, წინა წელზე უფრო ცუდი მოსაველიანობის, იმპორტირებული ინფლაციის მცირედით ზრდისა და სხვა შესაძლო ეგზოგენური ფაქტორების გარეშე, მოსალოდნელ ინფლაციას მონეტარული პოლიტიკის უცვლელი პირობებში შემდეგი სახე ექნება (გრაფიკი 4.3)¹.

მოღველირებული პროგნოზის თანახმად, მიმდინარე წლის დეკემბერში წლიური ინფლაცია 10-პროცენტთან ალბათობით 5.55 პროცენტთან 6.95 პროცენტამდე შეიცვლება.

გრაფიკი 4.3
ინფლაციის პროგნოზი
2005-2006 წწ.



დღეისათვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ფასების ზრდის მიმართულებით შესაძლოა ისეთი რისკების გამოკვეთა², როგორც არის საკრედიტო დაზარალების სერიოზული ზრდა (თუ მომავალში მაღალ სამომხმარებლო ხარჯებში გადაიზარდა), შემოდგომამდე ფრინველის გრიპთან დაკავშირებული ინფორმაციიდან გამომდინარე შესაძლო გართულებები, წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის შედეგად გაზრდილი შიდა მოთხოვნა, ენერგომთარებლების ფასების მოსალოდნელზე მეტად ზრდა და ცუდი კლიმატური პირობები. ფასების შემცირების მიმართულებით ანგარიშგასაწევია ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორც არის რუსეთის მხრიდან მოთხოვნის შესუსტებით სოფლის მეურნეობის ბოგიერთ პროდუქტზე ფასების კლება, სიგარეტზე აქციზის განაკვეთის შემცირება და ა.შ. უნდა აღინიშნოს,

¹ ინფლაციის საპროგნოზო მოდელის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ: ა. მუსხელიშვილი, თ. მღვიმეილი. ინფლაციის მოდელირება და პროგნოზირება საქართველოსათვის // „ბანკი“ - N3(20), -2004.
² მოდელის სტრუქტურის გამოშლინარე, მასში ყველა რისკის გათვალისწინება შეუძლებელია.

რომ, მიუხედავად რისკების შეფასების სირთულისა, მათი გაყვანა სავარაუდოა, რომ ფასების აწევის მიმართულებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე შემცირების. ამას ემატება პოლიტიკური განცხადებების ფონზე მოსახლეობის მხრიდან ინფლაციური მოლოდინის შესაძლო გამძაფრება, რასაც, ხშირად მოხმარებადი საქონლის (მაგ., შაქრისა და ბენზინის) ფარდობითი ფასების გაძვირებიდან გამომდინარე, ინფლაციის არასწორი აღქმაც უწყობს ხელს. (იხ. ჩანართი „ინფლაციის მაჩვენებელი და მისი აღქმა“).

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, საშუალოვადიან პერიოდში უფრო მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაამკაცრებს პოლიტიკას, ვიდრე უცვლელს დატოვებს, ან შეარბილებს. მოკლევადიან პერიოდში კი ახალი ინფორმაცია დაკვირვებით იქნება შესწავლილი, რასაც მონეტარული პოლიტიკის მხრიდან შესაბამისი გადაწყვეტილება მოჰყვება.

ინფლაციის საპროგნოზო მოდელი

ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებულია ცლომილებათა შესწორების მეთოდი და მიღებულ განტოლებას შემდეგი სახე აქვს:

$$\delta p = 0.082\delta e + 0.066\delta e_{-1} + 0.061\delta m_{-1} + 0.05\delta m_{-2} + 0.01\delta p^{oil} + 0.014\delta p^{food} + 0.21\delta p_{-1}^{imp} + 0.015ecm - 0.005DUM1 + 0.003DUM4 - 0.006DUM5 - 0.004DUM6 + 0.004DUM12 + 0.096D9812 + 0.033D0311,$$

სადაც:

p – არის ინფლაცია;

m – ფულის მასა;

e – ლარის აშშ დოლართან გაცვლის კურსი;

p^{oil} – ნავთობის საშუალო ფასი მსოფლიოში;

p^{food} – ხილისა და ბოსტნეულის ფასები;

p^{imp} – იმპორტის ფასების ცვლილება შეწონილი იმპორტის წილის მიხედვით;

$DUMn$ – გადაგვარებული ცვლადი, n -თვის სეზონურობის გამოსარიცხავად;

$D9812$ – გადაგვარებული ცვლადი, რუსეთის კრიზისის გამოსარიცხავად;

$D0311$ – გადაგვარებული ცვლადი 2003 წლის ნოემბრის გამოსარიცხავად;

ecm – გრძელვადიანი წონასწორობის აღმწერი ცვლადი, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$ecm = p_{-1} - 0.32e_{-1} - 0.68m_{-1} + 1.22y_{-1} - 7.59,$$

სადაც y არის მთლიანი შიდა პროდუქტი.

„ინფლაციის შიმონიღვა“ გამოსაცემად მომზადდა საქართველოს ეროვნულ ბანკში

0105, თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5.

